№ 26
(11 175)
4 – 7 აპრილი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:

◆ მიდი, მოვდივარ - მცხეთის სტადიონზე...

◆ ჯანსუღ ბაგრატიონი — 60

◆ რაო, ყიფიანს მემკვიდრეობას ედავებიან?

◆ მადლიერებით მიღებული ძღვენი...

◆ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტები — იტალია

◆ თავის დროზე პელე თურმე ყველაზე ნაკლებს ვარჯიშობდა, მაგრამ ფეხბურთზე სხვებზე მეტს ფიქრობდა

◆ საქართველოსა და უცხოეთის სპორტის სხვა ამბები

◆ კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

# საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას

თვალს ვადევნებთ რა, საინფორმაციო საშუალებებით, აჭარის მიმართ გაშლილ მართლაც, სკანდალურ დემარშებს, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ აქ მიმდინარე, ჭეშმარიტად აღმშენებლობითი პროცესები, ქვეყანაში არსებულ დესტრუქციულ ძალებს გულზე არ ეხატებათ და ყოველგვარი ხრიკებით ცდილობენ ცენტრსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის მდგომარეობის დაძაბვას.

ქართული სპორტის მოამაგენი, სპორტსმენები ჭეშმარიტად შორს ვართ ყოველგვარი პოლიტიკისაგან. სპორტი ხომ უწინარესად, მშვიდობის დესპანია ყველგან და ყოველთვის, ჩვენი ხალხის ბურჯი და დიდი იმედი. სწორედ ამიტომაც იყო, როცა გავიგეთ მთიან აჭარაში მომხდარი უბედურების შესახებ, უპირველეს საზრუნავად, გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანებისადმი, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, მცირეოდენი მატერიალური, დახმარება და ფიზიკურად გვერდში ამოდგომა დავისახეთ მიზნად. მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგეთ დამეწყრილ სოფლებში სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად ავტომატიანი ხალხის გამოგზავნის მიზანი. პროვოკაციულად ჟღერს, აგრეთვე, საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი ახალგაზრდა წარმომადგენლის გამოსვლა აჭარის ავტონომიის გაუქმების თაობაზე. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ასეთი უმსგავსი გამოვლინებების პირობებში არ შეიძლება გავდგეთ განზე და დავრჩეთ პასიური მაყურებლის როლში. ჩვენ ყოველთვის ვიდექით და კვლავაც დავდგებით საქართველოს ძლიერებისა და აღმშენებლობის სადარაჯოზე. რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სარბიელზე არასოდეს შევარცხვენთ ქართული სპორტის ღირსებას.

დღეს, სწორედ რომ ქართული სპორტის სადიდებლად აშენდა ბათუმში ევროპული სტანდარტების შესადარი საჩოგბურთო კორტები, ფეხბურთის სტადიონი... კიდევ სხვაც ბევრი რამ. ეს ყველაფერი კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უშუალო დახმარებითა და მუდმივი ყურადღებით კეთდება. და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ ეს ყოველივე ე.წ. ოპოზიციურ ძალებს არ ეხატებათ გულზე.

მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო! — ასევე ქართულ სპორტულ საზოგადოებრიობას — ეს ყოველივე განვსაჯოთ ობიექტურად, ავწონ-დავწონოთ ცივი გონებით და ასე გავაკეთოთ სწორი დასკვნები, რაც იქნება გარანტი სრულიად საქართველოს გადარჩენისა, მისი აღორძინებისა.

მიღებულია საქართველოს სპორტსმენთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის პრეზიდიუმის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის ორგანიზაციისა და აჭარის სპორტულ ფედერაციათა პრეზიდიუმების ერთობლივ გაფართოებულ სხდომაზე.

31 მარტი, 1998 წელი

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ქართული სპორტის განვითარებისა და პოპულარიზაციის, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებისა და სპეციალისტთა აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ***ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონი*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

## მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ოლიმპიურ ჩემპიონს სიმაღლეზე ხტომაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ***რობერტ შავლაყაძეს.***

* * *

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ***ჯანო ბაგრატიონს.***

* * *

საქართველოს რკინიგზის ცენტრალური სპორტკლუბი ლოკომოტივი" დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ეროვნული სპორტის თვალსაჩინო ხელმძღვანელს ***ჯანო ბაგრატიონს.***

## საქართველოს თასი



## 1/2 ფინალი

საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალისტთა კენჭისყრა სფფ-მ საგანგებოდ ჩაატარა კლუბ „ტოტო-ბომბოში", რათა ამ ფაქტისათვის საჯაროობის მეტი ელფერი მიეცა. ცხადია, თასის ფინალამდე თბილისელ და ბათუმელ დინამოელთა ხელოვნურ დიფერენცირებაზე მითქმა-მოთქმის განელებაც სასურველი იყო. ასეა თუ ისე, ყველაფერი „მშვიდობიანად" დამთავრდა და ნახევარფინალისტებიც შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

***დინამო (თბილისი) – დილა (გორი)***

***დინამო (ბათუმი) – თსუ (თბილისი)***

ნახევარფინალური მატჩები 14 და 26 აპრილს ჩატარდება (პირველი თამაშები თბილისში და ბათუმში გაიმართება), ხოლო ფინალი ჩვეულებისამებრ 26 მაისს.

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი XX ტური

# ევროპაში... ქვებით?

**დინამო (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 3–0**

**დინამო:** ჭანტურია, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, პეტრიაშვილი (ჭელაძე, 64), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი (ბურდული, 84), ხომერიკი.
**ტორპედო:** ასლანიძე, ვაჩიბერაძე (შენგელია, 35), ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, ჯანაშია (მეტრეველი, 75), მეგრელაძე, ჩხაიძე.
***გოლი:*** ხომერიკი (29), მუჯირი (57), ალექსიძე (86).
***გააფრთხილეს:*** ლობჟანიძე, გუჩუა, ვაშაკიძე.
***გააძევეს:*** ხუჯაძე
***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი)



მუჯირმა კიდევ ერთხელ გაიტანა

საქართველოს პირველ გუნდთან, ეროვნული ჩემპიონატის უცვლელ გამარჯვებულთან წარმატების მიღწევას აბა ვინ არ ნატრობს და განსაკუთრებით არ ცდილობს. ქუთათურთა გუნდსაც 6 ავტობუსით ჩამოყვნენ გულშემატკივრები, რომელთაც, რაღა თქმა უნდა, სხვა ქუთაისელი ფენებიც შეემატნენ და საყვარელ გუნდს ისეთი გარემო შეუქმნეს, თითქოს შინ ეთამაშებოდნენ „დინამოს". მატჩის წინ „არმაზზე" ანშლაგი და საზეიმო განწყობა სუფევდა, მაგრამ... განა ვინმეს ახსოვს თბილისში სტუმართა გუნდის ფეხბურთელებისთვისა და მწვრთნელისთვის ქვები დაეშინათ, მთელი მატჩის განმავლობაში დედის გინებით შეემკოთ ისინი? მაინც რატომ არის ასეთი აგრესიული განწყობა თბილისის „დინამოს", დავით ყიფიანის და, საერთოდ, თბილისური გუნდების მიმართ? სავალალო ის არის, რომ ამას ერთი-ორი ვაიგულშემატკივარი კი არ სჩადის, არამედ უმრავლესობა, ხოლო ერთი-ორი, პირიქით, მასის დაშოშმინებას ცდილობს. რა უნდა ვუწოდოთ ასეთ ფენომენს?

თვით მატჩი ურიგო როდი გამოდგა. სტუმრები მართლაც რომ თავგანწირვით და წარმატების მწველი სურვილით ეკვეთნენ დინამოელებს, რის შედეგად ახერხებდნენ კიდეც ზოგჯერ მოედნის ცენტრში დომინირებას. მაგრამ ფლანგებზე უპირატესო-

იხ. მე-2 გვ



დინამოელები კიკნაძე და ალექსიძე

## სხვა მატჩები:

ლოკომოტივი (თბილისი) – თსუ 1-1
ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – დინამო (ბათუმი) 2-1
მაღაროელი (ჭიათურა)– სიონი (ბოლნისი) 3-3
გურია (ლანჩხუთი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-1
დილა (გორი) – მერანი-91 (თბილისი) 2-0
სამგურალი (წყალტუბო) – ოდიში (ზუგდიდი) 0-1
რუსთავი – მარგვეთი (ზესტაფონი) 3-0

## სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 20 | 17 | 2 | 1 | 57-7 | 48 |
| ოდიში | 20 | 13 | 2 | 5 | 33-25 | 41 |
| დინამო (ბთ.) | 20 | 12 | 5 | 3 | 40-13 | 41 |
| კოლხეთი-1913 | 20 | 12 | 3 | 5 | 41-18 | 39 |
| ტორპედო | 20 | 10 | 6 | 4 | 34-19 | 36 |
| თსუ | 20 | 9 | 5 | 6 | 27-15 | 32 |
| ვიტ-ჯორჯია | 20 | 6 | 7 | 7 | 20-23 | 25 |
| მერანი-91 | 20 | 8 | 5 | 6 | 24-26 | 24 |
| დილა | 20 | 7 | 3 | 10 | 18-26 | 24 |
| ლოკომოტივი | 20 | 6 | 6 | 8 | 20-28 | 24 |
| სიონი | 20 | 7 | 6 | 7 | 32-25 | 22 |
| რუსთავი | 20 | 7 | 0 | 13 | 19-33 | 21 |
| სამგურალი | 20 | 5 | 4 | 11 | 19-36 | 19 |
| გურია | 20 | 3 | 6 | 11 | 20-42 | 15 |
| მაღაროელი | 20 | 3 | 3 | 14 | 17-48 | 12 |
| მარგვეთი | 20 | 1 | 5 | 14 | 13-49 | 8 |

*შენიშვნა: „დინამოს" (თბ.), „მერანს" და „სიონს" დაკლებული აქვთ 5-5 ქულა.*

მორიგი, XXI ტური გაიმართება 6-7 აპრილს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლიდერების ურთიერთპაექრობა: „ოდიში" — დინამო (თბ.)

# თუ სფფ-ს აღმასკომი გადაწყვეტს, თასის ფინალი ქუთაისში გაიმართება

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა წინადადებით მიმართა სფფ-ს ხელმძღვანელობას აღმასკომის სხდომაზე განიხილონ წლევანდელი თასის ფინალის (26 მაისი) ქუთაისში ჩატარების საკითხი. რატომ დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი?**

სფფ-ს გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე თვლის, რომ არაერთი მოსაზრებაა, რის გამოც შესაძლებელია აღმასკომმა მხარი დაუჭიროს ამ წინადადებას. მთავარი კი, ალბათ, ისაა, რომ ქუთაისის სტადიონი ნებისმიერი ფინალისტისთვის ნეიტრალური იქნება, გარდა ამისა, ეს მატჩი აამაღლებს ქუთათურთა დაინტერესებას მეტი ყურადღება გამოიჩინონ თუნდაც იგივე სტადიონისადმი. ამასთან, თასის ფინალი ერთგვარად ის სასინჯი მატჩი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს, რათა ევროტურნირში მონაწილეობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, ქუთაისში მატჩების გამართვის მიზანშეწონილობის საკითხი უეფამ ეჭვის ქვეშ არ დააყენოს. არის სხვა არანაკლებ საყურადღებო მოტივიც.

— ერთი სიტყვით, თასის ფინალური მატჩის ქუთაისში გამართვაში პლუსები დიდად სჭარბობს მინუსებს, რაც სფფ-ს ხელმძღვანელობას საინტერესოდ ეჩვენება — დასძინა ბოლოს დ. კვინიკაძემ.

„ლელო"-„გუმათი"



## კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**გუშინ,** ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში გაიმართა პლეი-ოფის პირველი მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც პირველი ოთხეულის მიღმა დარჩნენ (თამაშები ორ მოგებამდე ტარდება).

მეხუთე ადგილისათვის: **თსუ — მაკაბი 103:84,** მეშვიდე ადგილისათვის: **ასკ — შევარდენი 82:69.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ფალავანი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში**

**გივი კარტოზია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

შეიქმნა გივი კარტოზიას დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
გ. შოშიტაიშვილი — თავმჯდომარე,
წევრები: კ. ასათიანი, ჯ. ბაგრატიონი, ვ. ბალავაძე, დ. გობეჯიშვილი, ვ. კანკავა, მ. მაჩაიძე, რ. რურუა, დ. ციმაკურიძე.

გ. კარტოზიას დამკრძალავი კომისიისაგან

გ. კარტოზიას პანაშვიდი გაიმართება 5 და 6 აპრილს გასვენებულის ბინაზე: საბურთალოს ქუჩა №44, 16.00 საათზე;
სამოქალაქო პანაშვიდი 7 აპრილს სპორტის სასახლეში 12.00 საათიდან;
გამოსვენება: 15.00 საათზე.
დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

ქართული სპორტის საამაყო სახელები

# პოპულარული კაცი

**პირველად ვწერ საგაზეთო წერილს ისე, რომ რესპონდენტს არ გავსაუბრებივარ. მიზეზი უბრალოა, კაცს თუ კარგად იცნობ და მისი ნაღვაწ-ნაამაგარის წარმოჩენა გსურს, ზედმეტად აღარ უნდა შეაწუხო. ერთი კია, რის თქმასაც ქვემოთ შევეცდები, მხოლოდ ჟურნალისტის შეფასება არ იქნება – ვინც იცნობს, ეჭვიც არ მეპარება, ყველა ასე ფიქრობს. ცნობით კი ვინ არ იცნობს – ჯანო ბაგრატიონზე მოგახსენებთ!**

შევეცდებიო, ზემოთ ვთქვი და იცით, რატომ? როცა წერილის ხელჩასაკიდ დედააზრს ვეძებდი, გონებაში იმდენი რამ ამოტივტივდა, შევცბი კიდეც; როგორ გინდა ყველაფერი მოკლედ თქვა, სისრულისთვის კი ერთი საგაზეთო წერილის ჩარჩოები ნამდვილად ვიწროა. ამიტომ, წინდაწინ ვიხდი ბოდიშს.

ჩვენს თაობაში წარუშლელი კვალი ბევრ საინტერესო პიროვნებას დაუტოვებია და ერთ მათთაგანი უდავოდ არის ჯანო ბაგრატიონი. მხოლოდ იმიტომ არა, რომ საქმიანობის საერთო სფერო გვაკავშირებს და დიდი ხანია ერთად მოვდივართ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამ კაცს, ერთი წრის ხალხისთვის არასდროს უცხოვრია და არც ცხოვრობს. პირდაპირ რომ ითქვას, – ჯანო ბაგრატიონი ყველას ჯანო ბაგრატიონია.

რაც შეეხება გზის დასაწყისს. სამოღვაწეო სარბიელს ადამიანები მოწოდებით ირჩევენ და საზოგადოებაშიც ამ შინაგანი ძახილით იმკვიდრებენ ადგილს. ჯანოს ნამდვილად ჰქონდა, როგორც იტყვიან, მდიდარი არჩევანი, მაგრამ ყმაწვილკაცობის გულისხმას მიჰყვა და ქართული სპორტის სამსახური გაიხადა ცხოვრების მიზნად.

საქართველოს სპორტული სამყარო დღეს რომ ერთი დიდი, ჭეშმარიტად ეროვნული გზნების ოჯახია, საერთო მონაპოვარია. მაგრამ ამ ოჯახს ჰყავს თავისი „მამასახლისი", ნაღდი და ულალატო პიროვნება – ჯანო ბაგრატიონი! დიახ, ჯანო! მამა-შვილის ეს სახელი, ცხადია, გვარიც, საუკუნის დასაწყისიდან მოდის, როგორც საერთო-სახალხო სიყვარულისა და თაყვანისცემის განსახიერება (გვარის წარმომავლობაზე და საქართველოს ისტორიაში მის მნიშვნელობაზე აღარაფერს ვამბობთ).

ტრადიციულად ქართულ სპორტში ნებისმიერ ხელმძღვანელს უდიდესი ტვირთი აწევს მხრებზე და, ასევე ტრადიციულად, მეტწილად, სწორედ ისეთები ეჭიდებოდნენ ამ სიმძიმეს, ვისაც ამისი უნარი, ორგანიზატორული ნიჭი გააჩნდა. ასე შენდებოდა ეროვნული სპორტის ლამაზი შენობა, რომლის ფასადს წარმოსადეგად ამშვენებს დღევანდელი იუბილარი. მისი სჯერავს და სწამს იმ სამყაროს, სადაც ათეული წლებია მუხლჩაუხრელად ილვწის. ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, როცა ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, ეს კაცი თავდაუზოგავად ცდილობდა ქართული სპორტის იმ ლამაზ შენობას საძირკველი არ გამოსცლოდა. ლიდერს კი მთელი ჩვენი სპორტული სამყარო შეჰყურებდა.

ხელმძღვანელის პოზიცია, მით უფრო, თუ ეს ხელმძღვანელი ავტორიტეტულია, იმ კალაპოტს ჰგავს, დინებას რომ აძლევს მიმართულებას. ჯანო ბაგრატიონის უდიდესი დამსახურებაცაა, რომ ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის წლებში საქართველოს სპორტული სამყარო შეუერყევლად იდგა, არ გათითკაცოებულა, „არ აიჭრა" და არ ჩაიკარგა ათასგვარ პარტიულ მიმდინარეობებსა და დაჯგუფებებში.

ვის, მაგრამ სპორტსმენებს და სპეციალისტებს ნამდვილად არ ესწავლებათ თუ რა არის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და სამართლიანობა. ისინი ხომ მუდამ რეალისტები არიან ნებისმიერ ბრძოლაში. თუმცა, რა დასამალია, იმდროინდელმა საყოველთაო ალტყინებამ, თავისი შედეგებით, მტკივნეულად გაიარა მათ გულებში.

ყველას კარგად გვახსოვს იმ არეულობებში ჯანო ბაგრატიონის პირდაპირობა, უტყუარი პოზიცია. ყველას ახსოვს თავყრილობებზე როგორ აცხადებდა ხმამაღლა, რომ აჩქარება, განუკითხავი ჩარევა და ხელის უცერემონიო ფათური ჩვენს სფეროში, ქართულ სპორტს დაღუპვამდე მიიყვანდა. სხვას ალბათ არც მოუსმენდნენ, რისხვას დაიმსახურებდა, „მოდა" იყო ასეთი. ჯანოს უსმენდნენ... სხვა საქმეა, რომ საერთოდ, ცხოვრება ინგრეოდა და ნანგრევებს მეტნაკლებად ვერც ეროვნული სპორტი გადაურჩებოდა.

მაინც რა გამოარჩევს ამ კაცს ჩვეულებრივ მოკვდავთაგან? შეიძლება თამამად ითქვას, ბევრი რამ და... არც არაფერი. ბევრში შესანიშნავ პიროვნულ ღირსებებს ვგულისხმობთ, არაფერში იმას, რასაც თავად აგრძნობინებს ყველას – იყავი ადამიანი!

ჯანო ბაგრატიონი მხოლოდ სპორტული სამყაროს იუბილარი არ არის. ყველა მიმიხვდება რასაც ვგულისხმობ. ძალიან შორეულ წარსულთან რომ გავავლოთ პარალელი, იგი ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში, მაშინდელი პროგრამის შესაბამისად, ორი მუზის შედეგებით, უთუოდ ავიდოდა საპატიო კვარცხლბეკზე.

ადამიანები ხშირად მაინც უცნაურად ვმსჯელობთ (შინაგანად მაინც), სხვებისგან ვითხოვთ ყურადღებას და სიკეთეს, ხოლო ვინც ამას გვიმჟღავნებს და იძლევა, გვგონია ვალდებულია. ჯანო ბაგრატიონს ნამდვილად განებივრებული ჰყავს გარემოცვა, საერთოდ ყველა, თავისი ყურადღებით, სიკეთით, თანადგომით, სამართლიანობით. სხვისი წუხილის გათავისებით. მას აქვს მოსმენის უნიკალური და, რაც მთავარია, გაგების უნარი. შეუძლია გეკამათოს, დაიცვას თავისი პოზიცია, გაიტანოს ნათქვამი, მაგრამ ზღვარს არასოდეს გადავა – იცის სად მთავრდება პრინციპები და სად იწყება სიჯიუტე, მით უმეტეს, არასოდეს იკადრებს ვინმეს პიროვნული ღირსება შელახოს და საურთიერთობო გზა გადაჭრას – ეს მისი ცხოვრების წესია. ამ წესმა და, თუნდაც პიროვნულმა მომხიბლაობამ აქცია იგი მოსაფერებელ პიროვნებად, საზოგადოებისთვის მიმნდობ ადამიანად.

დრო მიდის, წლებს თავისი ზამთარი მოაქვს ნებისმიერი ჩვენგანისთვის. მაგრამ ხომ ბედნიერია ის, ვისაც დრო „რიგიანად მოუხმარია", თავისი ზაფხულ-შემოდგომა ქვეყნისათვის სასიკეთო გარჯაში გაუტარებია და დაფასებია კიდეც. ჯანსულ ბაგრატიონი დღეს იმ ასაკშია, გარჯის ნაყოფს რომ იმკიან, მისი მოსამკელი ხვავი და ბარაქა კი უზომოზე უზომოა. პირველ ყოვლისა, საერთო-სახალხო დაფასება და სიყვარული მაქვს მხედველობაში.



ქართული სპორტის მესაჭეები – ჯანსულ ბაგრატიონი (მარცხნივ) და კახი ასათიანი

თენგიზ ბაჩეჩილაძე

**P.S. როცა ამ წერილს გაზეთის ნომერში ვდებდით, ინჟინერ-პროგრამისტმა ქალიშვილმა გვერდის დაკაბადონებისას თავისთვის წაილაპარაკა: „ჯანო ბაგრატიონი, ჩვენ დროსაც ისევ ძალიან პოპულარული იყო გეპეიში!" აი, დასტური იმისა, რომ თაობიდან-თაობაში ადამიანის პოპულარობაც გადადის. წერილის სათაური დაუყოვნებლივ შევცვალეთ. „პოპულარული კაცი" – მართლაც, რომ სწორედ ეს სიტყვები გამოხატავს საერთო აზრს.**

## 13+13
## ამდენჯერ ათას აშშ დოლარს მიიღებს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია წლეულს და გაისად იააფ-დან

ბუდაპეშტიდან ხელდამშვენებული დაბრუნდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარე. იქ გამართულ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფი) კონგრესზე გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული ფედერაცია წლეულს, ჩვენს ქვეყანაში მძლეოსნობის განვითარებისთვის, მიიღებს 13 ათას აშშ დოლარს, გაისად — ამდენივეს.

— ეს უანგარო დახმარება პირადად იააფ-ის პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს თაოსნობით და აქტიური მხარდაჭერით მივიღეთ. ცხადია, იააფ-ი ყველას არ ეხმარება, მაგრამ გაითვალისწინეს ჩვენში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობები, ის ტრადიციები და ღვაწლი, რაც საქართველოს მძლეოსნებს აქვთ შეტანილი საერთაშორისო სპორტულ, განსაკუთრებით ოლიმპიურ მოძრაობაში — გვითხრა თ. მდინარაძემ.

## და კიდევ ერთი ახალი ამბავი

მოსკოვში იქმნება მძლეოსნობის განვითარების ცენტრი, რომლის მსგავსი კარგა ხანია შექმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და რეგიონალური ფუნქცია აკისრია.

საქართველოში შეირჩა ორი პერსპექტიული მძლეოსანი ქუთაისელი სერგეი ტურიატკო და გარდაბნელი დავით ილარიანი, რომლებიც ზემოხსენებულ რეგიონალურ ცენტრში გააგრძელებენ დაოსტატებას.

ლალი შარიძაძე

## ევროპაში... ქვებით?

(პირველი გვერდიდან)

ბას მთლიანად მასპინძლები ფლობდნენ. ქუთაისელების პირველ მწვავე იერიშს გოლის გატანის რეალური მომენტი არ ეთქმის, მაგრამ კვეტენაძე – ვაჩიბერაძე – მეგრელაძის კომბინაცია მართლაც შეიძლებოდა შედეგიანი ყოფილიყო, რომ არა ჭანტურიას კარგი თამაში, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში მეტად თავდაჯერებულად და საიმედოდ მოქმედებდა. დინამოელებმა კი მეტოქეს ხომერიკისა და პეტრიაშვილის სახიფათო დარტყმებით უპასუხეს. ანგარიშის გახსნა მუჯირის ჩამოწოდებულ კუთხურს მოყვა – სტუმართა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა და ხომერიკმაც ერთი-ორი მეტრიდან დალაშქრა ასლანიძის კარი. შემდეგ აშვეთიას ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ დინამოელთა ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, გუშინ, გოლის გატანა არ ეწერა.

ქუთაისელებმა ყველაზე ნაღდი მომენტი პირველი ტაიმის მიწურულს შექმნეს, როცა ჯანაშიას მიერ შესრულებულ კუთხურის კარგ პოზიციაში მყოფი ხუჯაძე ყოჩაღად ვერ დახვდა – ბურთი დიდი მანძილით გადასცდა ჭანტურიას კარს.



დინამოელმა ცქიტიშვილმა ლიბეროდ ითამაშა

მეორე ტაიმში დინამოელთა განსხ-
ვავება კლასში კიდევ უფრო გამოიკვე-
თა და უპირატესობა გოლშიც აისახ-
– მუჯირმა ხომერიკის პასი ასლანი-
ძესთვის აუღებლად გაისროლა ქუთა-
ისელთა საჯარიმოს სიახლოვიდან. ამის
შემდეგ სტუმრები მოეშვნენ, ჟინი და-
კარგეს და უჯიგროდ ირჯებოდნენ. ყვე-
ლაფერმა ამან სტუმართა ფანების დი-
დი უკმაყოფილება გამოიწვია, რომლე-
ბმაც განტევების ვაცად დავით ყიფია-
ნი და მისი გუნდი მიიჩნიეს. დინამოე-
ლთა თავკაცმა ასეთ „შემოტევას" ვე-
ღარ გაუძლო, შემოუბრუნდა – ქვებ-
სსროლიებსა და მაგინე-
ბლებს სათანადო ჟესტი-
კულაციითა და ლექსიკო-
ნით მიმართა. საბედნიე-
როდ, ექსცესებს ექსკალა-
ცია აღარ მოჰყვა, რადგან
ამის რეალური საფუძვე-
ლი ნაღდად არ არსებობდ
– დინამოელები პირწმი-
ნდად ჯობნიდნენ მეტოქეს
რეალობა მალე ყველამ
შეიგნო და ვნებებიც თან-
დათან დაცხრა. „დინამო"
კი მაინც არ დაოკდა და
ანგარიში გაასამა.

... რაც შეეხება სფე-
ალბათ ყველაზე სამარ-
ლიანი დასკვნა ამ მატჩი-
დან ის იქნება თუ „ნეიტ-
რალურ" ქუთაისში თასის
ფინალური მატჩის ჩატა-
რებას გადაიფიქრებს.

დათო თავართქილაძე

## ბერეჟნაია- სიხარულიძის წყვილი მსოფლიო ჩემპიონია

ნაგანოში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორები რუსეთელები ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე ახლა მსოფლიო ჩემპიონები (აშშ) გახდნენ წყვილთა შორის ფიგურულ სრიალში.

მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოდან პირველად მონაწილეობდა ვახტანგ მურვანიძე (ინდივიდუალური პროგრამა), რომელსაც ამ ასპარეზობამ მხოლოდ გამოცდილება შესძინა.

## გამბიტი 5 წლისაა

ამ დღეებში საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საჭადრაკო ასოციაციის საჭადრაკო გამოცემა „გამბიტის" მეხუთე წლისთავი. შეიძლება ითქვას, რომ ეს გაზეთი ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტ ავთანდილ წილოსანის პირმშოა. ამ უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ რამაზ ხუროძის თანადგომით, „გამბიტი" უძლებს ცხოვრების სიძნელეებს და ყველაფერი კეთდება მისი დღეგრძელობისათვის.

სააგენტო „გუმათი"

გამოიწერეთ ლელო

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ულრმესი გულისტკივილით და ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართველი ხალხის უსაყვარლესი ფალავანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი**

**ბივი კარტოზია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

**საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი ფალავანი სპორტის დამსახურებული ოსტატი**

**ბივი კარტოზია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს რკინიგზის ცენტრალური სპორტული კლუბი „ლოკომოტივი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოჭიდავის, შესანიშნავი პიროვნების**

**ბივი კარტოზიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია იზიარებს ჩვენი საზოგადოებრიობის ღრმა მწუხარებას**

**ბივი კარტოზიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## გასწორება

„ლელოს" წინა ნომერში, პირველ გვერდში, წერილში „დაფასება" გაიპარა კორექტურა. მეორე სვეტის მეოთხე სტრიქონში (ზემოდან) სიტყვა „პარლამენტის" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „დეპარტამენტი".



## ეხ, ნეტა მართლა ასე ყოფილიყო...

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, რომელიც 1 აპრილს გამოვიდა, რუბრიკით „უკანასკნელი ცნობები" გამოქვეყნდა რამდენიმე ინფორმაცია, რომელმაც ბევრი გაახარა, რადგან პრობლემები, რომელიც ქართულ სპორტის განვითარებას ანელებს, გადაჭრილად ჩათვალა. ვაგლახ, რომ ეს მხოლოდ საპირველაპრილო ხუმრობა იყო, პრობლემები კი პრობლემებად რჩება.

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ლიგა XX ტური

### რკინიგზელებმა „ძღვენი“ მადლიერებით მიიღეს

**ლოკომოტივი – თსუ 1-1**

***„ლოკომოტივი“:*** დოლაბერიძე, ქველაძე, ერაძე (გაგუა), არჩვაძე, ხუციშვილი, ქვარცხავა, გ. კვეტენაძე (ი. ხუჯაძე), ყაველაშვილი, კოტორაშვილი (ამბიძე), გოდერძიშვილი, დათუაძე,
***„თსუ“:*** ბათიაშვილი, ყოლბაია, ვერემჩუკი, კობიაშვილი, ხარებავა, კვიტატიანი, ჩალამბერიძე (გ. ქორიძე), მაზიაშვილი, გემეზაშვილი, მელქაძე, რუსია.
***გააფრთხილეს:*** არჩვაძე, ამბიძე, დათუაძე, რუსია
***გააძევეს:*** კვიტატიანი
***გოლები:*** 0-1 ყოლბაია (55), 1-1 გოდერძიშვილი (66)
***მსაჯი:*** ლევან ფანიაშვილი (თბილისი)

შეხვედრა სანახაობრივად საინტერესო გამოდგა, რომ ვთქვა, მართალი არ იქნება. აი, დაძაბულობა და დრამატულობა კი მატჩს ნაღდად არ აკლდა. არც წითელ-ყვითელი ბარათების ფრიალი ყოფილა იშვიათი რამ. მსაჯი ერთობ სიმკაცრით გამოირჩეოდა და პატარა დანაშაულზეც კი სჯიდა ფეხბურთელებს.

პირველი რეალური საგოლე მომენტი რკინიგზელთა თავდამსხმელმა დათუაძემ შექმნა. ნელ-ნელა სტუდენტებიც შეფუცხუნდნენ, განსაკუთრებით მარცხენა ფლანგზე გამწესებული ფლეიმეიქერი გემეზაშვილი აქტიურობდა, მისი გარღვევები სახიფათო იყო. ორივე გუნდის მწვრთნელები მთელი შეხვედრის განმავლობაში მითითებებს აძლევდნენ თავთავიანთ შეგირდებს, მახარაძე, როგორც ყოველთვის, — დინჯად, აუღელვებლად, მისი საპირისპირო გუნდის კოლეგა, გაბელია კი — ემოციურად.

მეორე ტაიმში ყოლბაიას გოლი ერთ-ერთ კონტრშეტევას მოჰყვა მაზიაშვილის პასით, ეს უკანასკნელი უმეთვალყურეოდ მიტოვებული შეიჭრა საჯარიმოში და დოლაბერიძისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში დაარტყა, მეკარე ხელით კი შეეხო ბურთს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გაშვებული გოლის შემდეგ რკინიგზელები გააქტიურდნენ, ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ, გოლიც გაიტანეს, რასაც შემთხვევითობას უფრო მივაწერდი: არჩვაძემ ჯარიმა დაარტყა, უფრო სწორად, საჯარიმოში ჩააწოდა, რატომღაც სტუდენტთა მცველებმა ბურთი გაატარეს, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გოდერძიშვილმა კი „ძღვენი“ მადლიერებით მიიღო და ანგარიშიც გაათანაბრა.

**გოგა ლომიძე**

## სენსაცია „შევარდენზე“

**„ვიტ-ჯორჯია“ (თბილისი) – „დინამო“ (ბათუმი) 2-1**

***„ვიტ-ჯორჯია“:*** ჯანელიძე, ილურიძე, მაისურაძე, ჭოხონელიძე, კ. ბურდული (ლამბაშიძე), დვალიშვილი, ქუთათელაძე (ალავიძე), დოლიძე (ნადირაძე), ნოზაძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი.
***„ბათუმი“:*** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, სოლოღაშვილი, მაჭუტაძე, მაქაცარია ჭიჭვეიშვილი), აფხაზავა.
***გოლები:*** 0-1 აფხაზავა (61, პენ), 1-1 ჭოხონელიძე (70), 2-1 ნოზაძე (84)
***მსაჯი:*** ელგუჯა სილაგავა (თბილისი).

მატჩის ასეთ შედეგს ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. „ვიტ-ჯორჯიამ“ მეორე წრე ძალიან ცუდად დაიწყო და აქამდე მოუგებელი სერია, როგორც იქნა, სამი ქულით აღნიშნა, თანაც ერთ-ერთ ლიდერთან. მატჩს გულშემატკივარი არ აკლდა, პირიქით, ჩვენი საფეხბურთო ელიტის ძირითადი ბირთვიც ესწრებოდა. მსაჯი ყველასათვის ნაცნობი პიროვნება ახლდათ, რომელსაც ლანძღვა-გინება და მსგავსი „კომპლიმენტები“ ნამდვილად არ მოჰკლებია. მასპინძლები თავისი ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდნენ, რასაც სტუმრებზე ვერ ვიტყვით. ჭეიშვილმა ძირითადში არ დააყენა ღლონტი, ჭიჭვეიშვილი, თუმცა ეს უკანასკნელი მეორე ნახევარში შეცვლაზე შემოვიდა.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მასპინძლებს წინ გოჩაშვილ-ქუთათელაძის ტანდემი ჰყავდათ გამწესებული, ძირითადად მარცხენა ფრთიდან უტევდნენ, საჯარიმოში კი ტანმაღალი თავდამსხმელები ცდილობდნენ ბურთის სამიზნეში გადაგზავნას. თუმცა... არც ერთ მათგანს არ ეწერა ამ დღეს გოლის გატანა. აჭარელი ფეხბურთელები თავიდან ფრთხილად მოქმედებდნენ, ცდილობდნენ მოედნის ცენტრში ბურთის დიდხანს შეყოვნებას და მოკლე, გამჭოლი პასებით აპირებდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეჭრას, რაც არ გამოსდიოდათ. თბილისელთა მცველები ლიბერო მაისურაძის დირიჟორობით ჰკვიანურად მოქმედებდნენ და ხელოვნურ თამაშგარეშეებსაც ორგანიზებულად აწყობდნენ. პირველ ნახევარში კარგი მომენტი გაუშვა ხელიდან ქუთათელაძემ. მცველთან ჭიდილში, საჯარიმოში შესულმა, ბურთს ააცილა ფეხი. შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა იმატა. კარგი მომენტი გაუცუდდა ივანე მახარაძეს: სიჭინავას მიერ ჩამოწოდებულ ბურთს შეუჩერებლივ დაარტყა და სულ მცირე მანძილით ააცილა კარს. გოლის გატანის შანსი აფხაზავასაც ჰქონდა, როცა სოლოღაშვილის ბრწყინვალე პასით, იგი საჯარიმოში შეიჭრა და მოულოდნელად დაარტყა, მაგრამ ჯანელიძემ ეს დარტყმაც გააუვნებელყო, თუმცა იმავე აფხაზავას მიერ დარტყმულ თერთმეტმეტრიანს ვერაფერი მოუხერხა. პენალტი კი, უმრავლესობის აზრით (მათ რიგებში ჩემს თავსაც ვგულისხმობ), არ ყოფილა. საჯარიმოში აფხაზავას წაქცევის შემდეგ, რეფერიმ მოგვიანებით ჩასტვინა და ყველასათვის მოულოდნელად თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. ამ მომენტიდან დაიწყო სილაგავას გაუთავებელი გინება ორივე ტრიბუნიდან. მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ფსიქოლოგიურად თუ მორალურად არ დათრგუნვულან, უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და გაწეულმა შრომამ ნაყოფიც გამოიღო. ჯერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი მასპინძელთა მეოთხე ნომერმა ჭოხონელიძემ თავით ტოგონიძის კარში გადაგზავნა და თანაფარდობა აღადგინა, შემდეგ აჭარლები მთლიანად შეტევაზე გადავიდნენ, რითაც ისარგებლა მეტოქემ და ერთ-ერთი კონტრშეტევისას მარცხენა ფრთიდან ახალგაზრდა ნოზაძემ 30 მეტრი მარტოდმარტომ გაირბინა, წინ გამოსულ ტოგონიძეს კი თავზე გადაუგდო ბურთი. ამის შემდეგ ბათუმელები „ვა-ბანკზე“ გადავიდნენ, „ვიტ-ჯორჯია“ კი მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდა და გოჩაშვილს ცოტა ფხიანობა რომ გამოეჩინა, მესამე გოლსაც გაიტანდა სტუმართა კარში. შეხვედრა, იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ სილაგავამ მთელი ხუთი წუთით გადააცილა დროს, არადა, რაიმე მიზეზით არც კი შეჩერებულა შეხვედრა, თუ იმ გარდაუვალ საფეხბურთო ნიუანსებს არ ჩავთვლით, რასაც, ბურთის გვერდითი პირის ხაზს იქით გადაგზავნა ჰქვია და ა.შ. ასე რომ, არბიტრის ქმედებას ვერავინ მოუძებნა მიზეზი, რასაც მორიგი გინების „სეტყვა“ მოჰყვა.

ბათუმელებმა ვერ შეძლეს ამ „უპირატესობის“ გოლად გარდაქმნა, რათა ქულა მაინც ეხსნათ.

**გოგა ლომიძე**

## „დინამოს“ მწვრთნელობა ანდერძით არ მიმიღია – აცხადებს დავით ყიფიანი

ცხადია, დილმის ბაზაზე ჟურნალისტთა სტუმრობის მთავარი თემა „დინამოა.“ რა ხდება გუნდში? ყიფიანის თქმით, განსაკუთრებული არაფერი — მიმდინარეობს ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სულ უფრო მკაფიოდ ჩნდება ახალი ჩამოყალიბებული გუნდის კონტურები. წელს „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში მრავალმა ახალწვეულმა დაიმკვიდრა ადგილი. მათ შესათამაშებლად დროა საჭირო. ცხადია, ყველას უნდა ძირითადში მოხვედრა და თავის გამოჩენა. ამ შესაძლებლობას ახალგაზრდა ფეხბურთელებს მაშინ ვაძლევთ, როცა გათამაშების ბოლოს ქულათა გარკვეულ მარაგს შევიქმნით, განაცხადა გუნდის თავკაცმა.

შეკითხვაზე, სინამდვილეს შეეფერება თუ არა ხმები იმის თაობაზე, რომ მცველი გელაძე სოჭის „ჟემჩუჟინაში“ გადადის, ყიფიანმა თქვა, რომ რუსული კლუბიდან არავის მოუმართავს ოფიციალურად. ისე კი, საეჭვოა, რომ ამიერიდან რუსეთელებმა ახალი მოთამაშეების შეძენაზე იფიქრონ, ვინაიდან მოსკოვის „სპარტაკის“ გარდა, ყველა კლუბი ძირითადში ბიუჯეტიდან საზრდოობდა. ახლა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მთავრობა შეიცვალა, ახალმა პრემიერ-მინისტრმა კირიენკომ, განკარგულება გასცა გუნდებს საბიუჯეტო სახსრები 60 პროცენტით შეუმცირდეთ. შეიძლება საქმე იქამდისაც კი მივიდეს, რომ ჩემპიონატი რამდენიმე გუნდმა დატოვოს.

თუმცა, ყოველივე ეს რუსების პრობლემაა, ჩვენ ჩვენი ვიტიროთ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მაქსიმალურად შევამციროთ ფეხბურთელთა მიგრაცია. ყველაფერი ეს კი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერიდან გამომდინარეობს. თუ ფეხბურთელებს ნორმალურ პირობებს შევუქმნით (ამაში მარტო მაღალი ფულადი ანაზღაურება და საყოფაცხოვრებო პირობები არ იგულისხმება), ნაკლებად იფიქრებენ საქართველოდან წასვლაზე. სხვათა შორის, უკანასკნელ ხანს მუსირებს ხმები, რომ თუ „დინამოდან“ ყიფიანი წავა, ახალმოწვეული მწვრთნელი ერთი ხელის მოსმით გადაჭრის ყველა პრობლემას. ვაგლახ, რომ ეს ასე არაა. „კი, ბატონო, ეს თანამდებობა ჩემთვის არავის გადმოუცია ანდერძით, თუ ასეთი პიროვნება გამოჩნდება, მზად ვარ სკამი დავუთმო“ — განაცხადა დავით ყიფიანმა, მანამდის კი დაუღალავი შრომაა საჭირო, ვინაიდან ევროტურნირები ახლოვდება. ჩემპიონთა ლიგა? რასა ბრძანებთ, ჯერ, სანამ ლიგამდე მივაღწევთ, ქვეყნის ჩემპიონის ტიტულია მოსაპოვებელი. თუ ღმერთმა ქნა და გავიმარჯვეთ, გუნდის გაძლიერებაზე უნდა ვიზრუნოთ. ამ მიმართებით, ცხადია, ვმუშაობთ, მაგრამ გარკვეული მოსაზრებების გამო გვარებს ვერ დაგისახელებთ. ისე კი, ყველაზე სამართლიანი იქნება, ვინც ქვეყნის ჩემპიონობას მოიპოვებს, იმან დაიცვას გუნდის ღირსება ევროტურნირში.

კობიაშვილი, დემეტრაძე? — არ ვიცი, ახლო მომავალში მათი ბედი გაირკვევა. ჩიხრაძე? — იგი ჯერ კიდევ დონეცკის „შახტიორის“ კუთვნილებაა. უკრაინული კლუბი მასში საკმაოდ დიდ სატრანსფერო თანხას — 200 ათას დოლარს ითხოვს.

ბოლოს, ძალაუნებურად საუბრის თემა ზოგადად ქართული ფეხბურთის პრობლემებს შეეხო. ყიფიანის აზრით, სანამ საქართველოში არ შეიქმნება კრიზისიდან გამოსვლის კომპლექსური სისტემა (კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ფეხბურთელთა ანაზღაურების გაუმჯობესება, და ა.შ.), გამარჯვებებზე ფიქრი არ შეიძლება. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ქართულ ფეხბურთში გამეფებულ ნეგატიურ მოვლენებს. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ჩვენი სახელოვანი ვეტერანი ფეხბურთელები, ვთქვათ, ისეთი, როგორიცაა მურთაზ ხურცილავა. ამავე დროს გული მწყდება, რომ მას ზოგიერთი გაზეთები უდიერად მოიხსენიებენ. ხურცილავა უდიდესი მოვლენაა ფეხბურთში და სწორედ ასეთმა პიროვნებებმა უნდა გადაწყვიტონ ქართული ფეხბურთის მომავალი სფფ-ს ყრილობაზე. სფფ-ს მიერ შემოთავაზებული ფორმულა: თითო იურიდიული სუბიექტიდან — თითო დელეგატი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ასეთ შემთხვევაში მანდატების გარეშე დარჩება ქვეყნის პრაქტიკულად მთელი საფეხბურთო ელიტა და ქართული ფეხბურთის ბედს დილეტანტები გადაწყვეტენ ბრძანა დასასრულს „დინამოს“ თავკაცმა.

**ჯემალ ჭიკაშვილი**

## ქართველი ლეგიონერები კლუბის გამოცვლას აპირებენ



ისევე როგორც ჩვენში, ევროპულ ქვეყნებში ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები თანდათან დასასრულს უახლოვდება. ამასთან დაკავშირებით, შესამჩნევად გააქტიურდნენ სატრანსფერო საქმეებით დაკავებული ფიფას აგენტები. ფორმდება წინასწარი ოქმები, ზუსტდება კონტრაქტის პირობები, სატრანსფერო თანხები.

როგორც ეტყობა, ძალიან მალე შეიცვლის კლუბს ზოგიერთი ქართველი ლეგიონერიც. პირველ რიგში, ლაპარაკია **გიორგი ქინქლაძის** ჰოლანდიის „აიაქსში“ გადასვლაზე. ჩვენებურის სატრანსფერო თანხა 5,5 მილიონი გირვანქა სტერლინგია. იტყობინებიან, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ამ დღეებში, ამსტერდამში შეიკრიბება, რათა მომავალი კონტრაქტის დეტალებზე მოილაპარაკოს. სხვათა შორის, გუშინ დილმის ბაზაზე ყოფნისას „ლელოს“ კორესპონდენტმა შეიტყო, რომ ქინქლაძის სატრანსფერო საქმესთან დაკავშირებით, ამსტერდამს მიაშურა „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამაც.

გუშინვე უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის თაობაზე, რომ „ბრედაში“ მოასპარეზე არჩილ არველაძის გადაყვანასთან დაკავშირებით, ჰოლანდიურ კლუბთან მოლაპარაკება დაიწყო ერთ-ერთმა გერმანულმა გუნდმა. არაოფიციალური ცნობებით, მზადდება ნიუკასლელი თემურ ქეცბაიას ტრანსფერიც — მისით ერთ-ერთი ბუნდესლიგის კლუბია დაინტერესებული.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### 28 წლის ენრიკე 32 მილიონი ღირს

ლუის ენრიკე მორტინესმა მადრიდის „რეალში“ რომ დაიწყო თამაში, მას დიდ მომავალს და 90-იანი წლების საუკეთესო ესპანელ ფეხბურთელობას უწინასწარმეტყველებდნენ. ლუის ენრიკეს კარიერა კი აღმა-დაღმა წავიდა. და მადრიდის „რეალმაც“ 1996-97 წლების სეზონის დამდეგს ეს უნივერსალური ამპლუის ფეხბურთელი მოსისხლე მტერ „ბარსელონას“ დაუთმო, სადაც ლუის ენრიკე ბრწყინვალედ ათამაშდა და დღეს მოწინავე იტალიური კლუბები „ინტერი“ და „ლაციო“ მეტად მოწადინებულნი არიან ამ ფეხბურთელის გადაბირებით – ლუის ენრიკეს 8 მაისს 28 წელი შეუსრულდება და ამ ასაკის მოთამაშეში იტალიელები ყაბულს არიან 32 მილიონი დოლარი გადაიხადონ. კატალონიელები კი ჯერჯერობით გადაჭრით ვერც უარს აცხადებენ და ვერც თანხმობას.

### ჩეხისა და «ხუმარას» ახალი ალიანსი

ბოლო ევროპის ჩემპიონატის ვიცეჩემპიონი ჩეხი რადეკ ლატალი ალბიონზე თავის გამოჩენამდეც „შალკე-04“-ში გამოდიოდა. ამ სეზონში კი კონტრაქტი უმთავრდებოდა „ხუმარასთან“, მაგრამ ამ დღეებში ახალი კონტრაქტი გაფორმდა და ლატალი საუკუნის ბოლომდე დარჩება „შალკეში“.

### ერთი წუთი ითამაშა და... გამოეთხოვა

თავისი უკანასკნელი მატჩი გამართა მექსიკის ნაკრებში 39 წლის უგო სანჩესმა, რომელიც ბევრ ექსპერტს ყველაზე დიდ ფეხბურთელად მიაჩნია ამ ქვეყნის ისტორიაში. მართალია, უგომ ამ მატჩში წმინდა სიმბოლურად, სულ ერთი წუთი დაჰყო მინდორზე.

95 ათასი მაყურებელი მთელი მატჩის განმავლობაში ალტაცებით ესალმებოდა ტრიბუნაზე სანჩესს, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, წარმატებით თამაშობდა არა მარტო ეროვნულ ნაკრებში, არამედ ესპანეთის ჩემპიონატშიც, სადაც წლების განმავლობაში იცავდა მადრიდის „რეალის“ ღირსებას.

### ციტატა

უეფას თასზე მილანის „ინტერნაციონალესა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის პირველი მატჩის წინ (31 მარტი, მილანი, სტადიონი „სან-სირო“) რუსეთული გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იხსენებდა: „1977 წელს მილანელები თბილისის „დინამომ“ დაჯაბნა — 0-1 (შინ), 0-0 (სტუმრად). ერთადერთი ბურთი „ინტერის“ კარში „სან-სიროზე“ (სტადიონის ოფიციალური სახელწოდებაა „ჯუზეპე მეაცა“, ტევადობა — 85 443 მაყურებელი) დავით ყიფიანმა შეაგდო; ასე რომ, ჩვენებისაგან (!) შინაურ დამარცხებათა გამოცდილება „ინტერს“ აქვს; აი, ჩვენს ქვეყანაში კი მისთვის გოლები არავის გაუტანია. ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ თბილისელთა 21 წლის წინანდელი გმირობა გაემორებინა „სპარტაკს“ ახლა“...

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

**რუსთავი – მარგვეთი (ზესტაფონი) 3-0**
***რუსთავი:*** ქორიძე, მენთეშაშვილი, გვაზავა, კუდინოვი, სახვაძე (ლაბაძე), შენგელია, ცომაია, ბოკერია (არჩვაძე), ჩუხუა (მელაძე), ყიფიანი, ალადაშვილი.
***მარგვეთი:*** ნიქაბერიძე, კაკაბაძე, გურიელიძე, ჟვანია, ღონღაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, გაბრიჭიძე, მუმლაძე (მალაღურაძე), მაღრაძე, შავგულიძე (ქურციკიძე).
***გოლები:*** ჩუხუა (55,78), გურიელიძე (82, საკ. კარში)
***გააფრთხილეს:*** ყიფიანი
***მსაჯი:*** სოსო კახიანი (თბილისი)

**მადნეული (ჭიათურა) – სიონი (ბოლნისი) 3-3**
***მადნეული:*** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ბიწაძე, შეყლაშვილი, აბრამიშვილი, ბარამიძე, ბუიშვილი, თ. სამხარაძე (ტეფნაძე), კავთელაძე, მწყერაშვილი
***სიონი:*** ბიწაძე, ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, გოგოლაძე, მ. სამხარაძე (ფოფხაძე), ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (ბერიძე), წიკლაური, ტყავაძე (ჯაგიდისი), გაგუა.
***გოლები:*** 0-1 ტყავაძე (3), 0-2 წიკლაური (10), 0-3 ტყავაძე (25), 1-3 სამხარაძე (64), 2-3 კავთელაძე (81), 3-3 იობაშვილი (88, პენ.)
***გააფრთხილეს:*** მწყერაშვილი, კიპაროიძე, ბიწაძე, გაგუა, ჩომახიძე, შაკიაშვილი.
***მსაჯი:*** პაატა დოგრაშვილი

**დილა (გორი) – მერანი-91 (თბილისი) 2-0**
***დილა:*** ჭანტურია, ბალაშვილი, ხოხობაშვილი, ჩიტაია, ხაჭაპურიძე (წკრიალაშვილი), რევაზიშვილი, მარეხაშვილი (ციცქიშვილი), ლომიძე, მარღიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი (შატაკიშვილი).
***მერანი-91:*** ნაჭყეპია, ივანიშვილი, ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, კაპანაძე (აბაზაძე), ინიაშვილი (დავითაშვილი), ხორხელი, მაზანაშვილი, მესხი (ჩიგოშვილი).
***გოლები:*** მარღიშვილი (69), რევაზიშვილი (90)
***გააფრთხილეს:*** ბალაშვილი, ივანიშვილი, ხორგუაშვილი.

**გურია (ლანჩხუთი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-1**
***გურია:*** ვარდანიძე, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, ზ. კვეკვესკირი. ფაცურია (ხოსროშვილი), თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ჩხეტია (ჯაშიაშვილი), ბუკია, ბულუხია.
***კოლხეთი-1913*** ქვაჩახია, მიქაბერიძე (ქუტიძე), ჯღამაძე, გიორგაძე, გიორგობიანი, ღაღანიძე, ნოზაძე (ე. გვასალია), ჩხენკელი (დ. მახარაძე), სუხიაშვილი, წივწივაძე, ქობულაძე.
***გოლი:*** მიქაბერიძე (20)
***გააფრთხილეს:*** ჩხენკელი, განევი
***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

**სამგურალი (წყალტუბო) – ოდიში (ზუგდიდი) 0-1**
***სამგურალი:*** ბობოხიძე, გ. ჯანელიძე (ჯანაშია), თევზაძე, კოღუაშვილი, ჭელიძე, ძაგნიძე, ქუთათელაძე, მოსიკაშვილი (ფრანგიშვილი), ხაჭაპურიძე, ხურცილავა, დარსაძე (თევდორაძე).
***ოდიში:*** სოლოღაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე, ისიანი (ჯურხაძე), ენდელაძე, გ. ქორიძე (დათუაშვილი), ქოიავა (ზ. ჭედია), კალანდაძე
***გოლი:*** ენდელაძე (29)
***გააფრთხილეს:*** ცქიფურიშვილი, ტყემალაძე
***მსაჯი:*** თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

## ეროვნულზე თამაშები მალე განახლდება

ადრე შეგატყობინეთ, თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მინდვრის საფარს უფრთხილდებიან, ამიტომ ადრეულ გაზაფხულზე ეროვნული ჩემპიონატისა და საქართველოს თასის მატჩები იქ არ გაიმართებაო. თბილისის დინამოელთა მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის განცხადებით, წელს სტადიონზე პირველად ითამაშებენ მხოლოდ 11 აპრილს – ამ დღეს ჩვენი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი ეროვნული ჩემპიონატის მატჩში ბათუმელ თანაკლუბელებს უმასპინძლებს. მატჩი 16 საათზე დაიწყება.

## მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

# იტალია

## რამდენად ძლიერია „სკუადრა აძურა"?!

იტალიის ნაკრებში არიგო საკის მოღვაწეობა ჯერ დიდი მიღწევით აღინიშნა – მეორე ადგილით მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში, შემდეგ კი აშკარად გამოხატული დაღმავალი ხაზით. ევროპის 1996 წლის პირველობაზე განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ მწვრთნელმა ძლივს შეინარჩუნა „სკამი", მერე კი, უკვე მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების დრო დადგა. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ევროპის მეორე შესარჩევ ჯგუფში, საკი იქნებოდა მთავარი მწვრთნელი თუ სხვა ვინმე, იტალიელები მაინც დაიკავებდნენ პირველ ან მეორე ადგილს, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ამ ადგილებს შორის დებულების თანახმად, უზარმაზარი განსხვავებაა! ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „სკუადრა აძურას" ხელმძღვანელობას მაინცდამაინც პირველი ადგილისათვის უნდა ეზრუნა. იყო კი ამის გარანტია? ან, ასე ვთქვათ, ვინმეს შეეძლო ასეთი პირობის მიცემა?

როგორც შესარჩევი ტურნირის პირველმა თამაშებმა აჩვენა, საკი ჰკარგავდა კონტროლს ნაკრებზე, რომლის მატჩების დონე არცთუ ისე მაღალ კლასზე მეტყველებდა. ეს ითქმის როგორც პირველ მოგებაზე მოლდაველებთან – 3-1 კიშინიოვში (აქ ორი გოლი რავანელიმ გაიტანა, აქედან მეორე პენალტით, ერთი კი კაზირაგიმ), ისე, საშინაო მატჩზე საქართველოს ნაკრებთან, რომელთანაც ერთადერთი გოლის ავტორი კვლავ რავანელი იყო. ამ მომენტისათვის მიმომხილველები მიიჩნევდნენ, რომ პირველი სამი მატჩის მომგები ინგლისელები გაცილებით უფრო დამაჯერებლად თამაშობდნენ.

ერთი სიტყვით, მომწიფდა ნაკრების ხელმძღვანელობის შეცვლის საკითხი. მოვუსმინოთ ცნობილ ინგლისელ მიმომხილველ ბრაიან გლენვილს, რომელსაც იტალიური ფეხბურთის დიდი მცოდნის სახელი აქვს: „არიგო საკის ნაჩქარევმა ნებაყოფლობითმა გადადგომამ, რომელმაც სულ ოდნავ დაასწრო მის მოხსნას, რაც კარგა ხანია ემუქრებოდა, ენცო ბეარზოტს (ნაკრების მწვრთნელს 80-იან წლებში) ზოგი რამ მოაგონა. კარგა ხანია ცნობილია, რომ ბეარზოტს არასოდეს უყვარდა, პატივს არ სცემდა და არ ამხნევებდა საკის. წარსულში „ტორინოსა" და „ინტერის" სოლიდური მარჯვენა გარემარბი ვერაფრით ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ საკის საერთოდ არ უთამაშია ფეხბურთი. ამაზე, როგორც ცნობილია, საკი ასეთ პასუხს იძლეოდა ხოლმე: „იმისათვის, რომ ჟოკეი გახდე, არ არის საჭირო ცხენი იყო". მაგრამ, როცა მისი გუნდის თამაშს ვუყურებთ, მის უარყოფით დამოკიდებულებას შემოქმედებით, ორიგინალურად მოაზროვნე მოთამაშეებისადმი, როგორ არ გავიხსენოთ სამხრეთაფრიკელი პოეტის როი კემპბელის სიტყვები: „ალვირსაც ხმარობს და მათრახსაც, მაგრამ ეშმაკმა წაიღოს, ეს ცხენი სადღა დაიკარგა?" ერთი სიტყვით, მრავალნაცადი ენცო ბეარზოტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თავისი მიდგომით, მოთამაშეებისადმი ტაქტიკურ-პოზიციით, გაუთავებელი ექსპერიმენტებით, საკიმ სრული კრახი განიცადა და ჯერ კიდევ ინგლისში განცდილი ჩავარდნის შემდეგ უნდა გადამდგარიყო.

ბეარზოტმა ძალზე გაიხარა, როცა გაიგო, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ჩეზარე მალდინი, მისი ყოფილი თანაშემწე. ენცო ბეარზოტი ფიქრობდა, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, – არჩევანი „დატრიალებულიყო" მათ შორის, ვინც ეროვნული სისტემის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა:

ახლა კი ნაწყვეტები ჩეზარე მალდინის ინტერვიუდან, რომელიც მან ინგლისურ ჟურნალ „უორლდ სოკერს" მისცა:

● ***ამბობენ, რომ კარგი შედეგების მიღწევასთან ერთად ერთ მიზანსაც ისახავთ: კვლავ გახადოთ იტალიის ნაკრები პოპულარული. რას ნიშნავს ეს?***

– უკანასკნელ წლებში ნაკრები ქომაგებს იმედებს უცრუებდა. ჩემი აზრით, ამის მიზეზი იყო აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. ზოგიერთი მოთამაშის ცნობაც კი შეუძლებელი გახდა. გუნდისა და გულშემატკივრების ურთიერთობა უბრალო და უშუალო უნდა იყოს. სწორედ ამ მხრივ ვაპირებ მუშაობას, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რა კარგადაც არ უნდა ითამაშოს გუნდმა, დიდხანს არავინ გაგაჩერებს, თუ მატჩებს არ მოიგებ.

● ***მოთამაშეების გარკვეულ ჯგუფს დაეყრდნობით?***

– მსოფლიოს ვერც ერთი მწვრთნელი ვერაფერს გახდება კარგი მოთამაშეების გარეშე. მე კი ვიტყოდი, რომ ამჟამად იტალიაში რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელია. ჩემგან დიდ ცვლილებებს ნუ ელით. ახალმა სეზონმა რამდენიმე ახალი სახელი გაგვაცნო, მაგრამ საერთაშორისო კლასის მოთამაშეები მაინც საკმაოდ ცოტა გვყავს. მათი რიცხვი ოთხმოცდაათსაც არ აღწევს, გაცილებით ნაკლებია. მაგრამ, რადგან ასეთი ოსტატები გვყავს, ნაკრებიც სწორედ მათგან უნდა შეიქმნას.



ფილიპო ინძაგი

● ***მთავარ მწვრთნელად თქვენი, ხოლო მარკო ტარდელის თქვენს თანაშემწედ დანიშვნა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იტალია წარსულს უბრუნდება?***

– არა, არა. ფეხბურთში არაფერია არც ძველი და არც ახალი. კარგი ფეხბურთელების გარეშე ვერავის მოვუგებთ.

მალდინი როგორც კი დაინიშნა, მას სხვადასხვა კუთხიდან შეუტიეს. ზოგი მოითხოვდა ყურადღება მიექცია იმ შესანიშნავი ოსტატებისათვის, რომელთაც საკი სათვალავში არ აგდებდა. ამ ჯგუფში ასახელებდნენ „ინტერის" მეკარე ჯანლუკა პალიუკას, იტალიის თავდამსხმელ ჯუზეპე სინიორის, „სამპდორიიდან" – რობერტო მანჩინის, „ჩელსიში" მოთამაშე ჯანლუკა ვიალის, „მილანში" მოთამაშე მსოფლიოს წინა ჩემპიონატის გმირს, რობერტო ბაჯოს. სხვები მოითხოვდნენ, რომ მწვრთნელს ნაკრებში ადგილები დაეთმო ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის, როგორიც იყვნენ ფილიპო ინძაგი „ატალანტიდან", ჯანპიერო მაინი „ვიჩენცადან", სალვატორე ფრეზი, რომელიც „ინტერიდან" ინგლისურ „მიდლსბროში" გადავიდა.



ალესანდრო დელ პიერო (შუაში)

მალდინიმ არც ერთ ჯგუს დაუჯერა და არც მეორეს, მან ნაკრებში არიგო საკის მოთამაშეების უმრავლესობა შეინარჩუნა. მიიჩნევდნენ, რომ ახალი მწვრთნელი მატჩებს ააგებდა მწმენდელსა და ორ პერსონალურად მოთამაშეზე, უარს იტყოდა საკის მიერ გამოყენებულ პრესინგზე, ალესანდრო დელ პიეროსა და ჯანფრანკო ძოლას ნახევარმცველებად კი არა, თავდამსხმელებად გამოიყენებდა. ასახელებდნენ მალდინის ფავორიტებსაც – ნახევარმცველებს დემეტრიო ალბერტინისა და დინო ბაჯოს, თავდამსხმელ პიერლუიჯი კაზირაგის. ზოგს განსაკუთრებით აინტერესებდა მწვრთნელის ურთიერთობა მის ვაჟთან – პაოლოსთან, რომელსაც ნაკრებში თამაშის უზარმაზარი გამოცდილება აქვს. სად ითამაშებდა პაოლო, დაცვის ცენტრში, რომელიც მამას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, თუ ფრთაზე?

რა თქმა უნდა, ახალი მწვრთნელის დიდ მიღწევად ჩაითვალა მოგება ლონდონში ინგლისელებთან ანგარიშით 1-0 (ძოლა), ამას მოჰყვა მოლდაველების იოლი დამარცხება – 3-0 (მალდინი, ძოლა, ვიერი), ფრე – 0-0 სტუმრად პოლონელებთან, ხოლო შემდეგ მათი დამარცხება – 3-0 (დი მატეო, მალდინი, რ. ბაჯო). ერთი სიტყვით, „საგაზაფხულო რაუნდის" შემდეგ იტალიელებმა შეინარჩუნეს პირველი ადგილი.

ივნისში იტალიელებს „ტურნუა დე ფრანსში" მონაწილეობა მოელოდათ. თავისთავად ეს იყო მეტად საინტერესო საერთაშორისო ტურნირი. მსოფლიოს ოთხი უძლიერესი ნაკრების მონაწილეობით, საფრანგეთის სტადიონების, სათამაშო პირობების გაცნობაც, რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ მალდინი თვლიდა, რომ იტალიის ჩემპიონატი ახალი დამთავრებული იყო, მოთამაშეები გადაიღალნენ. ერთი სიტყვით, მისი ნაკრების მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში არა ღირდა, მაგრამ კონტრაქტი ხომ გაცილებით ადრე მალდინის მწვრთნელად დანიშვნამდე დაიდო. ამიტომ უნდოდათ თუ არ უნდოდათ, იტალიელები დათანხმდნენ.

პირველ მატჩში იტალიელებმა ინგლისელების წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: პერუცი, ფერარა (ნესტა, 46), ბენარივო, დ. ბაჯო, კანავარო, კოსტაკურტა, დი ლივიო (მაინი, 46), დი მატეო (ფუზერი, 18), კაზირაგი, ალბერტინი, ძოლა. შეხვედრა ინგლისელებმა მოიგეს – 2-0. მაშინ მეორე შეხვედრისათვის ბრაზილიელებთან მწვრთნელმა აშკარად შეცვალა შემადგენლობა: პალიუკა, მალდინი (დი ლივიო, 87), კანავარო, კოსტაკურტა, პანუჩი, დი მატეო, დ. ბაჯო (ფუზერი, 46), ალბერტინი, ლომბარდო, ვიერი (ინძაგი, 60), დელ პიერო. ეს შემადგენლობა უფრო ძლიერი გამოდგა.

საინტერესოა, რომ 62-ე წუთის შემდეგ იტალიელები წინ იყვნენ ანგარიშით 3-1 (გოლები – დელ პიერო – 2, მეორე პენალტით, ალდაირი – საკუთარ კარში), და თამაშის მიწურულში ბრაზილიელებმა რისვაი ნაჩრობით მიაღწიეს ფრეს – 3-3. მესამე მატჩში, ფრანგებთან იტალიელები უკვე დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ 90-ე წუთზე დელ პიერომ პენალტით იხსნა თავისიანები – 2-2. ერთი წაგება, ორი ფრე, ბოლო მეოთხე ადგილი – რა გაეწყობოდა!

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ფრემ თბილისში – 0-0, იტალიელებს ჯგუფში პირველი ადგილი დააკარგვინა, რასაც კიდევ ერთი ფრე – 0-0 მოჰყვა ინგლისელებთან და შესარჩევი ჯგუფი არასასურველი მეორე ადგილით დამთავრდა. იტალიელებმა 8 მატჩიდან 5 მოიგეს, 3 ფრედ დაასრულეს, არ წაუგიათ, 18 ქულით ბურთების შეფარდება, მშვენიერი იყო. 11-1, მაგრამ...

ახლა ყველაფერი რუსეთის ნაკრებთან ორ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. პირველი მატჩი 29 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა. სტუმრების შემადგენლობაში თამაშობდნენ: პალიუკა (ბუფონი, 31), ნესტა, მალდინი, დ. ბაჯო, კანავარო, კოსტაკურტა, პესოტო (ბენარივო, 54), ალბერტინი, ვიერი, დი მატეო, რავანელი (დელ პიერო, 60). ამ შეხვედრას ხუმრობით დაარქვეს „წვრილი მეანაბრეები" (რუსები) „მილიონერების" წინააღმდეგ. იტალიელებმა, რომლებიც, რა თქმა უნდა, ტექნიკური თვალსაზრისით, კლასით მასპინძლებს აღემატებოდნენ, ინგლისელებთან თამაშის საწინააღმდეგოდ, ხასიათის სიმტკიცეც აჩვენეს. ანგარიში 50-ე წუთზე ვიერიმ გახსნა, სულ ორი წუთის შემდეგ კი იურანის გარღვევას კანავარის საკუთარ კარში ბურთის ჩაჭრა მოჰყვა – 1-1. ასეთი ანგარიში, რა თქმა უნდა, იტალიელებს უფრო აძლევდათ ხელს. მათ გუნდში ერთი დებიუტანტის აღნიშვნა აუცილებელია. ეს იყო 19 წლის ჯანლუიჯი ბუფონი, ყველაზე ახალგაზრდა მეკარე იტალიის ნაკრების მთელი ისტორიის მანძილზე.

რამდენიმე ნაწყვეტი მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენციიდან.

● ***სინიორ მალდინი, შედეგით კმაყოფილი ხართ?***

– ვთვლი, რომ მოსკოვის მატჩში დასახულ მიზანს მივაღწიეთ, ჩვენი მხრივ, წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ შეხვედრა ხომ ორი მატჩისაგან შედგება, ამიტომ მეორე ორთაბრძოლას ნეაპოლში დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ. რუსეთმა დაამტკიცა, რომ კარგი გუნდი ჰყავს.

● ***რატომ არ ათამაშეთ დღეს ძოლა?***

– ერთხელ კიდევ შეხედეთ ამ მინდორს და თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება.

● ***რას იტყვით თქვენი შვილის თამაშზე?***

– გიპასუხებთ როგორც მწვრთნელი და არა, როგორც მამა. ჩემი აზრით, პაოლო კარგად მოემზადა ამ მატჩისათვის და იგი საკმაოდ კარგად წარმართა.

თუ მოსკოვის შეხვედრას სულ 20 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, 15 ნოემბერს ნეაპოლში „სან პაოლოს" ცნობილ სტადიონზე 76 500 გულშემატკივარი მოვიდა. ამჯერად იტალიელთა კარს პერუცი იცავდა, ისინი 5 მცველით თამაშობდნენ, პესოტო (იგი 77-ე წუთზე ნესტამ შეცვალა) და მალდინი განაპირა მცველები იყვნენ. მაშინ, როცა იტალიელები ბურთს ეუფლებოდნენ, ორივე მიდიოდა წინ და ნამდვილი განაპირა ნახევარმცველი ხდებოდა. ცენტრში თამაშობდნენ ფერარა, კანავარო და კოსტაკურტა. სამი ნახევარმცველი: დინო ბაჯო, ალბერტინი და დი მატეო მეტად აქტიურად მოქმედებდა. იგივე ითქმოდა თავდამსხმელებზე – კაზირაგისა და რავანელიზე (რომელიც 77-ე წუთზე დელ პიერომ შეცვალა). იტალიელების მთავარი იარაღი იყო ხისტი პრესინგი (მათ საკის ტაქტიკა გაიხსენეს), რაც რუსებს არც შეტევის თავისუფლად დაწყების, არც მისი გაგრძელების საშუალებას აძლევდა. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 53-ე წუთზე კაზირაგიმ გაიტანა. ეს ასე მოხდა: ალბერტინიმ, მინდვრის საკუთარ ნახევრიდან, ოსტატური გრძელი გადაცემით ბურთი თავისუფალ „დერეფანში" კაზირაგის მიაწოდა. ვერც კოვტუნმა, ვერც ონოპკომ ვერ მოასწრეს მისთვის ხელის შეშლა და კაზირაგიმ ზუსტი დარტყმით აიძულა ოვჩინიკოვი ბურთი ბადიდან გამოეტანა. კაზირაგის ორმა გოლმა 1996 წელს ევროპის ჩემპიონატში იტალიელებს რუსებთან გაამარჯვებინა. ახლა კი კაზირაგიმ მოუტანა გუნდს საფრანგეთის საგზური. ასე დასრულდა მძიმე და გრძელი გზა ფინალისაკენ. რა თქმა უნდა, იტალიელების გამარჯვება დამსახურებული იყო, მაგრამ, მიმომხილველთა საყოველთაო აღიარებით, მალდინის ნაკრები მაინც ვერ უჩვენებდა იმ თამაშს, როგორიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ეკადრებოდა.

არის რაიმე სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი იტალიელთა შემადგენლობაში? ჩეზარე მალდინი ირწმუნება, რომ, არა. „სკუადრა აძურას" ბირთვი ხომ კარგა ხანია ჩამოყალიბდა, ძირითადი შემადგენლობაც ცნობილია და მათი შემცვლელებიც. მალდინი ამჟამად მთლად კმაყოფილი როდია ზოგიერთი წამყვანი მოთამაშის მზადყოფნით, მაგრამ თვლის, რომ ზაფხულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. მან ნაკრებში დააბრუნა რობერტო ბაჯო, ოღონდ, უთხრა, რომ იგი შეიძლება მინდორზე მხოლოდ დელ პიეროს შემცვლელად გამოვიდეს, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდა.

ისევე, როგორც ადრე, იტალიის ნაკრები, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ამჟამად ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. თუ რამდენად რეალურია მისი შესაძლებლობები, კიდევ ერთხელ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონობა, ამას, რა თქმა უნდა, მომავალი დაგვანახვებს.

**ბიძი თორელი**

EURO 2000
The Low Countries

# შესარჩევი ტურნირის კალენდარი

## პირველი ჯგუფი

იტალია
დანია
შვეიცარია
უელსი
ბელარუსი

### 1998 წელი

**5-6 სექტემბერი**
უელსი — იტალია
ბელარუსი — დანია

**10-11 ოქტომბერი**
იტალია — შვეიცარია
დანია — უელსი

**13-14 ოქტომბერი**
შვეიცარია — დანია
უელსი — ბელარუსი

### 1999 წელი

**27-28 მარტი**
ბელარუსი — შვეიცარია
დანია — იტალია

**30-31 მარტი**
შვეიცარია — უელსი
იტალია — ბელარუსი

**5-6 ივნისი**
იტალია — უელსი
დანია — ბელარუსი

**8-9 ივნისი**
შვეიცარია — იტალია
უელსი — დანია

**4-5 სექტემბერი**
ბელარუსი — უელსი
დანია — შვეიცარია

**7-8 სექტემბერი**
შვეიცარია — ბელარუსი
იტალია — დანია

**9-10 ოქტომბერი**
უელსი — შვეიცარია
ბელარუსი — იტალია

## მეორე ჯგუფი

ნორვეგია
საბერძნეთი
საქართველო
ლატვია
სლოვენია
ალბანეთი

### 1998 წელი

**5 სექტემბერი**
საქართველო — ალბანეთი

**6 სექტემბერი**
საბერძნეთი — სლოვენია
ნორვეგია — ლატვია

**10 ოქტომბერი**
ლატვია — საქართველო
ალბანეთი — საბერძნეთი
სლოვენია — ნორვეგია

**14 ოქტომბერი**
საბერძნეთი — საქართველო
ნორვეგია — ალბანეთი
სლოვენია — ლატვია

### 1999 წელი

**27 მარტი**
საქართველო — სლოვენია
საბერძნეთი — ნორვეგია

**31 მარტი**
სლოვენია — ალბანეთი
ლატვია — საბერძნეთი

**28 აპრილი**
ალბანეთი — ლატვია
საქართველო — ნორვეგია

**30 მაისი**
ნორვეგია — საქართველო

**5 ივნისი**
საქართველო — საბერძნეთი
ალბანეთი — ნორვეგია
ლატვია — სლოვენია

## მესამე ჯგუფი

გერმანია
თურქეთი
ფინეთი
ჩრდ. ირლანდ.
მოლდოვა

### 1998 წელი

**5 სექტემბერი**
ფინეთი — მოლდოვა
თურქეთი — ჩრდ. ირლანდ.

**10 ოქტომბერი**
თურქეთი — გერმანია
ჩრდ. ირლანდ. — ფინეთი

**14 ოქტომბერი**
მოლდოვა — გერმანია
თურქეთი — ფინეთი

**18 ნოემბერი**
ჩრდ. ირლანდ. — მოლდოვა

### 1999 წელი

**27 მარტი**
ჩრდ. ირლანდ. — გერმანია
თურქეთი — მოლდოვა

**31 მარტი**
გერმანია — ფინეთი
მოლდოვა — ჩრდ. ირლანდ.

**4 ივნისი**
გერმანია — მოლდოვა

**5 ივნისი**
ფინეთი — თურქეთი

**9 ივნისი**
მოლდოვა — ფინეთი

**4 სექტემბერი**
ფინეთი — გერმანია
ჩრდ. ირლანდ. — თურქეთი

**8 სექტემბერი**
გერმანია — ჩრდ. ირლანდ.
მოლდოვა — თურქეთი

**9 ოქტომბერი**
გერმანია — თურქეთი
ფინეთი — ჩრდ. ირლანდ.

## მეოთხე ჯგუფი

რუსეთი
საფრანგეთი
უკრაინა
ისლანდია
სომხეთი
ანდორა

### 1998 წელი

**5 სექტემბერი**
სომხეთი — ანდორა
უკრაინა — რუსეთი
ისლანდია — საფრანგეთი

**10 ოქტომბერი**
ანდორა — უკრაინა
რუსეთი — საფრანგეთი
სომხეთი — ისლანდია

**14 ოქტომბერი**
უკრაინა — სომხეთი
საფრანგეთი — ანდორა
ისლანდია — რუსეთი

### 1999 წელი

**27 მარტი**
ანდორა — ისლანდია
საფრანგეთი — უკრაინა
სომხეთი — რუსეთი

**31 მარტი**
უკრაინა — ისლანდია
რუსეთი — ანდორა
საფრანგეთი — სომხეთი

**5 ივნისი**
უკრაინა — ანდორა
საფრანგეთი — რუსეთი
ისლანდია — სომხეთი

**9 ივნისი**
ანდორა — საფრანგეთი
რუსეთი — ისლანდია
სომხეთი — უკრაინა

**4 სექტემბერი**
უკრაინა — საფრანგეთი
ისლანდია — ანდორა
რუსეთი — სომხეთი

**8 სექტემბერი**
ანდორა — რუსეთი
ისლანდია — უკრაინა
სომხეთი — საფრანგეთი

**9 ოქტომბერი**
საფრანგეთი — ისლანდია
რუსეთი — უკრაინა
ანდორა — სომხეთი

## მეხუთე ჯგუფი

ინგლისი
ბულგარეთი
შვედეთი
პოლონეთი
ლუქსემბურგი

### 1998 წელი

**5-6 სექტემბერი**
ბულგარეთი — პოლონეთი
შვედეთი — ინგლისი

**10-11 ოქტომბერი**
პოლონეთი — ლუქსემბურგი
ინგლისი — ბულგარეთი

**13-14 ოქტომბერი**
ბულგარეთი — შვედეთი
ლუქსემბურგი — ინგლისი

### 1999 წელი

**27-28 მარტი**
შვედეთი — ლუქსემბურგი
ინგლისი — პოლონეთი

**30-31 მარტი**
ლუქსემბურ. — ბულგარეთი
პოლონეთი — შვედეთი

**5-6 ივნისი**
პოლონეთი — ბულგარეთი
ინგლისი — შვედეთი.

**8-9 ივნისი**
ლუქსემბურგი — პოლონეთი
ბულგარეთი — ინგლისი

**4-5 სექტემბერი**
შვედეთი — ბულგარეთი
ინგლისი — ლუქსემბურგი

**7-8 სექტემბერი**
ლუქსემბურგი — შვედეთი
პოლონეთი — ინგლისი

**9-10 ოქტომბერი**
ბულგარეთი — ლუქსემბ.
შვედეთი — პოლონეთი

## მეექვსე ჯგუფი

ესპანეთი
ავსტრია
ისრაელი
კვიპროსი
სან-მარინო

### 1998 წელი

**5 სექტემბერი**
ავსტრია — ისრაელი
კვიპროსი — ესპანეთი

**10 ოქტომბერი**
კვიპროსი — ავსტრია
სან-მარინო — ისრაელი

**13-14 ოქტომბერი**
ისრაელი — ესპანეთი
სან-მარინო — ავსტრია

**18 ნოემბერი**
სან-მარინო — კვიპროსი

### 1999 წელი

**10 თებერვალი**
კვიპროსი — სან-მარინო

**27 მარტი**
ესპანეთი — ავსტრია
ისრაელი — კვიპროსი

**31 მარტი**
სან-მარინო — ესპანეთი

**28 აპრილი**
ავსტრია — სან-მარინო

**5 ივნისი**
ესპანეთი — სან-მარინო
ისრაელი — ავსტრია

**4 სექტემბერი**
ავსტრია — ესპანეთი
კვიპროსი — ისრაელი

**8 სექტემბერი**
ესპანეთი — კვიპროსი
ისრაელი — სან-მარინო

**10 ოქტომბერი**
ესპანეთი — ისრაელი
ავსტრია — კვიპროსი

## მეშვიდე ჯგუფი

რუმინეთი
პორტუგალია
სლოვაკეთი
უნგრეთი
ლიხტენშტეინი
აზერბაიჯანი

### 1998 წელი

**5-6 სექტემბერი**
უნგრეთი — პორტუგალია
რუმინეთი — ლიხტენშტეინი
სლოვაკეთი — აზერბაიჯანი

**10-11 ოქტომბერი**
პორტუგალია — რუმინეთი
ლიხტენშტეინი — სლოვაკეთი
აზერბაიჯანი — უნგრეთი

**13-14 ოქტომბერი**
სლოვაკეთი — პორტუგალია
უნგრეთი — რუმინეთი
ლიხტენშტ. — აზერბაიჯანი

### 1999 წელი

**27-28 მარტი**
რუმინეთი — სლოვაკეთი
პორტუგალია — აზერბაიჯ.
უნგრეთი — ლიხტენშტეინი

**30-31 მარტი**
სლოვაკეთი — უნგრეთი
ლიხტენშტ. — პორტუგალია
აზერბაიჯანი — რუმინეთი

**5-6 ივნისი**
პორტუგალია — სლოვაკეთი
რუმინეთი — უნგრეთი
აზერბაიჯანი — ლიხტენშტ.

**8-9 ივნისი**
უნგრეთი — სლოვაკეთი
პორტუგალია — ლიხტენშტ.
რუმინეთი — აზერბაიჯანი

**4-5 სექტემბერი**
სლოვაკეთი — რუმინეთი
აზერბაიჯ. — პორტუგალია
ლიხტენშტეინი — უნგრეთი

**7-8 სექტემბერი**
რუმინეთი — პორტუგალია
სლოვაკეთი — ლიხტენშტ.
უნგრეთი — აზერბაიჯანი

**9-10 ოქტომბერი**
პორტუგალია — უნგრეთი
ლიხტენშტეინი — რუმინეთი
აზერბაიჯანი — სლოვაკეთი

## მერვე ჯგუფი

იუგოსლავია
ხორვატია
ირლანდია
მაკედონია
მალტა

### 1998 წელი

**5 სექტემბერი**
ირლანდია — ხორვატია

**6 სექტემბერი**
მაკედონია — მალტა

**10 ოქტომბერი**
მალტა — ხორვატია
იუგოსლავია — ირლანდია

**14 ოქტომბერი**
ირლანდია — მალტა
ხორვატია — მაკედონია

**18 ნოემბერი**
მალტა — მაკედონია

### 1999 წელი

**10 თებერვალი**
მალტა — იუგოსლავია

**27 მარტი**
მაკედონია — ირლანდია
იუგოსლავია — ხორვატია

**31 მარტი**
ხორვატია — მალტა
იუგოსლავია — მაკედონია

**5 ივნისი**
მაკედონია — ხორვატია
ირლანდია — იუგოსლავია

**9 ივნისი**
იუგოსლავია — მალტა

**4 სექტემბერი**
ხორვატია — ირლანდია

**8 სექტემბერი**
მალტა — ირლანდია
მაკედონია — იუგოსლავია

**10 ოქტომბერი**
ხორვატია — იუგოსლავია
ირლანდია — მაკედონია

## მეცხრე ჯგუფი

შოტლანდია
ჩეხეთი
ლიტვა
ბოსნია
ფარერები
ესტონეთი

### 1998 წელი

**4 ივნისი**
ესტონეთი — ფარერები

**19 აგვისტო**
ბოსნია — ფარერები

**5 სექტემბერი**
ბოსნია — ესტონეთი
ფარერები — ჩეხეთი
ლიტვა — შოტლანდია

**10 ოქტომბერი**
ბოსნია — ჩეხეთი
ლიტვა — ფარერები
შოტლანდია — ესტონეთი

**14 ოქტომბერი**
ლიტვა — ბოსნია
შოტლანდია — ფარერები
ჩეხეთი — ესპანეთი

### 1999 წელი

**27 მარტი**
ჩეხეთი — ლიტვა
შოტლანდია — ბოსნია

**31 მარტი**
ლიტვა — ესტონეთი
შოტლანდია — ჩეხეთი

**5 ივნისი**
ბოსნია — ლიტვა
ესტონეთი — ჩეხეთი
ფარერები — შოტლანდია

**9 ივნისი**
ესტონეთი — ლიტვა
ფარერები — ბოსნია
ჩეხეთი — შოტლანდია

**4 სექტემბერი**
ბოსნია — შოტლანდია
ფარერები — ესტონეთი
ლიტვა — ჩეხეთი

**8 სექტემბერი**
ჩეხეთი — ბოსნია
ფარერები — ლიტვა
ესტონეთი — შოტლანდია

**9 ოქტომბერი**
ესტონეთი — ბოსნია
ჩეხეთი — ფარერები
შოტლანდია — ლიტვა.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## UEFA CUP უეფას თასი

### 1/2 ფინალი

**მილანი. „ჯუზეპე მეაცას“ სახელობის სტადიონი**

„ინტერი“ — „სპარტაკი“ 2-1

თამაში მასპინძლების შეტევებით დაიწყო. „ინტერი“ შეტევას შეტევაზე ანხორციელებდა, მაგრამ მოსკოველთა დაცვა მშვიდად იგერიებდა იერიშებს. დასაწყისში ორჯერ სახიფათოდ დაარტყა რონალდომ. შემდეგ ჩილელ ივან სამორანოს თავური ასცდა მიზანს. ჰქონდათ კარგი მომენტები ზე ელიასს, კვლავ რონალდოს, მაგრამ... მიუხედავად მასპინძლების ხანგრძლივი შტურმისა, პირველად კარისკენ ბურთი ჯორკაეფმა 37-ე წუთზე გაგზავნა. ტაიმის ბოლო წუთზე ზე ელიასის ჩაწოდება თავით სამორანომ დააგვირგვინა 1-0. მეორე ტაიმში მოსკოველები იერიშზე გადავიდნენ. ალეინიჩევმა კარგად ითამაშა: ერთი მოძრაობით ჩამოიტოვა სარტოსი და ზე ელიასი და ახლო კუთხეში დაურტყა ბურთი პალიუკას. შედეგი — ძელი — გოლი 1-1. ამის შემდეგ მხოლოდ „ინტერის“ ფეხბურთელები უტევდნენ და თითქმის ყოველ იერიშს სახიფათო დარტყმით ამთავრებდნენ. ერთი-ერთზეც გავიდნენ, ბურთი შტანგასაც მოახვედრეს, მაგრამ გოლი 90-ე წუთზე გავიდა. მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებული ზე ელიასმა გაიტანა 2-1.

**მადრიდი. „ვისენტე კალდერონის“ სახელობის სტადიონი**

„ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ლაციო“ (რომი) 0-1

შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა. ბურთი ბოკშიჩის კარგი პასით იუგოვიჩმა გაიტანა. „ლაციომ“ ძალზე გააზრებულად ითამაშა დაცვაში და, მიუხედავად ესპანელთა ტერიტორიული უპირატესობისა, მოიგო ეს შეხვედრა.

## CHAMPIONS LEAGUE ჩემპიონთა ლიგა

### ნახევარფინალები

**გაიმართა პირველი შეხვედრები. ტურინში, „დელი ალპის“ სტადიონზე იტალიის „იუვენტუსმა“ 4-1 მოუგო საფრანგეთის მონაკოს.** მატჩის დასაწყისში ინძაგის და დელ პიეროს მიეცათ ანგარიშის გახსნის შანსები. მომენტი გაუცუდდა „მონაკოს“ აფრიკელ ფორვარდ იკპებას, რომელმაც ძელს მოარტყა ბურთი. ანგარიში ჯარიმით ტურინელმა ალესანდრო დელ პიერომ გაიტანა მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში. ეს პირველი ტაიმის 36-ე წუთზე მოხდა. მალე „მონაკოს“ მეკარე ფაბიენ ბარტეზმა საკუთარ საჯარიმოში წააქცია თანამემამულე „იუვენტუსის“ ზინედინ ზიდანე და პენალტი დელ პიერომ გაიტანა 2-0, თუმცა „მონაკოს“ პორტუგალიელმა და კოსტამ ანაგრიშში სხვაობა შეამცირა 2-1, მაგრამ მეორე ტაიმში დელ პიერომ, ინძაგის წაქცევისთვის პენალტით 3-1 გახადა ანგარიში, ხოლო მატჩის წერტილი ფრანგმა ზიდანემ დაუსვა 4-1, რაც კარგი გარანტიაა შემდეგ წრეში გასასვლელად. ამჯერად ჰეთ-თრიკი დელ პიერომ შეასრულა და მიბაძა ფილიპო ინძაგის (როგორც გახსოვთ, კიევში „დინამოსთან“ მანაც სამი გოლი გაიტანა მეოთხედფინალში).

### მადრიდი

„სანტიაგო ბერნაბეუს“ ცნობილ სტადიონზე თამაშის წინ კარები არ იყო მწყობრში. საათნახევარი დასჭირდა მის გამოცვლას, რომლებიც „რეალის“ სავარჯიშო მოედნიდან შეიტანეს სტადიონზე. თამაში დაძაბული გამოდგა. შარშანდელ ჩემპიონს დორტმუნდის „ბორუსიას“ მატჩის დასაწყისში ჰქონდა დაწინაურების შანსი, მაგრამ შვეიცარიელ შაპიუზას გაუცუდდა შანსი, „რეალმა“ 2 გოლი გაიტანა, შესაბამისად ორივე ტაიმში და 2-0 გაიმარჯვა. პირველი გოლი ბრაზილიელი რობერტო კარლოსის პასით მორიენტესმა გაიტანა, ხოლო მეორე — ფრანგმა კარემბომ. განმეორებითი ნახევარფინალი გერმანიაში გაიმართება ორი კვირის თავზე.

მოამზადა გია ახალაძემ



რობერტო კარლოსი „ბორუსიასთანაც“ აქტიური იყო

## Cup Winners' Cup თასების თასი

**ვიჩენცა (იტალ.) — ჩელსი (ინგლ.) 1-0**
ზაული (15)

**შტუტგარტი (გერმანია) — ლოკომოტივი (რუსეთი) 2-1**
0-1 ზ. ჯანაშია (23), 1-1 აკპობორი (43), 2-1 ბობიჩი (90).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე ფიქრობს სპეციალისტი

# ფული დოპინგზე უარესია...

**საბჭოურ ხანაში სპორტის პროფესიულობაზე ლაპარაკი მკრეხელობად ითვლებოდა და სპორტს, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად, სამოყვარულო სტატუსი ჰქონდა**

ახლა პოსტსაბჭოურ სივრცეში, სპორტის არაერთი სახეობა იმკვიდრებს ინდუსტრიის ფორმებს — ფულებისაკენ არსებითად „იყურება". კარგია ეს თუ ცუდი? აი, რას ფიქრობს ამის თაობაზე ჩვენთვის განსაკუთრებით კარგად ცნობილი ფსიქოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, რუდოლფ ზაგაინოვი, რომელზეც სახელგანთქმულ სერგეი ბუბკას უთქვამს: „უკეთესი ფსიქოლოგი სპორტში არ მეგულება..."

— ფული... ფული უბედურება ფულშია, იგი დოპინგზე უარესია. არაფერი მაქვს შრომისა თუ რისკისათვის მატერიალური გასამრჯელოს საწინააღმდეგო; ოღონდ, ახლა სპორტსმენები პირველ ყოვლისა იმაზე ფიქრობენ, თუ რამდენს აიღებენ თავიანთ გამოსვლაში — ყველაფერი დანარჩენი უკანა პლანზეა; ხდება ხოლმე, სასტიკ მარცხს იწვნევენ და ხუთიოდე წუთში იღიმებიან, ვითომც არაფერი: აქ ვერ გავაკეთე ფული — სხვაგან მოვახერხებო... ჩემი შეხედულებით, სპორტი დეგრადაციის გზას ადგას. საქმე იქამდე მივიდა, რომ სპორტსმენები მწვრთნელებთან ერთად თამაშებს ჰყიდიან, თან არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიან; როგორც ეს რუსეთულ ფეხბურთში ხდება; თუმცა რა — არც საზღვარგარეთის ფეხბურთის გუნდებში აკლებენ.

● ***თქვენი აზრით, პროფესიული ფეხბურთი უნდა „გაუჩმდეს"? შეჯიბრებები, გამოსვლები მოვაწყოთ, როგორც ოდესღაც, ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს?***

— ჩემი აზრით, არ უნდა ჩავკლათ სპორტის არსი, არავის არ უნდა მივცეთ ამ არსის ამოძირკვის ნება — ადამიანის სწრაფვისა, იყოს სხვაზე ძლიერი, სხვაზე სწრაფი, სხვაზე ამაღლებული; ამისკენ ილტვოდეს და არა მაინცდამაინც იქით, რომ სხვაზე მდიდარი გახდეს. ადრე შეეძლოთ მხოლოდ ერთი ლამაზი ოცნების, ოლიმპიური მედლის გულისთვის, ბრძოლა და გამარჯვება; მწვრთნელებს არ იკითხავთ, როგორი იყვნენ? — უშუალოები, ინტელიგენტურნი, კეთილშობილნი!.. თუ საქმისათვის ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, მორალურად არა ხარ განწყობილი, არაფერი გამოგივა. ლეგენდარულ პელეს ერთხელ ჰკითხეს — საათნახევარს რატომ ვარჯიშობ დღეში და არა ხუთ-ექვს საათს, როგორც მთელი გუნდიო? „იმიტომ, რომ დანარჩენი 22 საათი ფეხბურთზე ვფიქრობ" — უპასუხა. ახლა შეადარეთ ეს ნათქვამი ერთი თანამედროვე მოთამაშის პოზიციას: „ჩემთვის ყველაზე საუკეთესო სტიმული ის არის, როცა მწვრთნელი მატჩის წინ გასახდელში შემოდის და ამბობს, რომ თამაშში გამარჯვებისათვის პრემია ჩვეულებრივზე ხუთჯერ მეტი იქნება"... ეს არის სპორტსმენი?..

**მოამზადა თამაზ ებანოიძემ**

# პატრიკ რაფტერის დიდი ნახტომი



ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის დასაწყისში პატრიკ რაფტერის სახელი ჩოგბურთის მოყვარულებს ბევრს არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აშშ-ს ღია პირველობა, ე.წ. „ფლეშინგ მიდოუ" მოიგო, ავსტრალიელი ოსტატი მსოფლიო რანგ-ლისტში 25-ე ადგილიდან ერთბაშად მეორეზე აღმოჩნდა.

რაფტერს ესაუბრა გერმანულ ჟურნალ „კიკერის" კორესპონდენტი.

● ***მისტერ რაფტერ, თქვენ ამერიკის ჩემპიონატის მოგების შემდეგ ავსტრალიის ეროვნული გმირი გახდით.***

— დიდი მადლობა, მაგრამ ცოტა გადაჭარბებულია. ავსტრალიაში ჩემზე მეტად ბევრი ვინმე უყვართ.

● ***შეიცვალა ამის შემდეგ თქვენი ცხოვრების წესი?***

— მხოლოდ შევეცდები შევინარჩუნო ჩემი მაღალი ადგილი ჩოგბურთის სამყაროში.

● ***როგორია თქვენი პროგნოზი, გახდებით თუ არა „ახალი სამპრასი"?***

— ვინც სამპრასს მადარებს, მას ჩოგბურთის სამყაროში შექმნილ სიტუაციაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს. სამპრასმა უკვე უამრავ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, ბევრი წოდება მოიპოვა, მე კი... ვინც ჩვენ გვადარებს, იგი, ცოტა არ იყოს, სცოდავს სამპრასის წინაშე.

● ***დაასახელეთ ის გამოჩენილი ჩოგბურთელები, რომლების მიბაძვა გსურდათ?***

— ბორგი და მაკინროუ. არა იმ გაგებით, რომ მათ ვაღმერთებდე. ამას აკეთებს 6-7 წლის ბავშვი.

● ***და მაინც საყვარელი მოთამაშე არა გყავთ?***

— უპირველეს ყოვლისა, ნიჭს ვცემ თაყვანს. არ ვიტყოდი, რომ ამ მხრივ დღეს არის ვინმე, რომელიც დანარჩენებს მკვეთრად აღემატება. რა თქმა უნდა, პიტ სამპრასსა და ბორის ბეკერს დიდი ტალანტი აქვთ, მაგრამ სხვებიც გამოირჩევიან ნიჭიერებით.

● ***რატომ არ გყავთ მწვრთნელი?***

— დიახ, არა მყავს ისევე, როგორც ბევრ სხვა ჩოგბურთელს. მაგრამ მყავს რამდენიმე მეგობარი, რომელთანაც დროგამოშვებით ვვარჯიშობ. არავინ მჭირდება, ვინც ჩემს საქმეს გააკეთებს. სავარჯიშო კორტებზე, სპარინგ პარტნიორებზე და გნებავთ, სასტუმროს ნომრებზეც ყოველთვის თვითონ ვზრუნავ.

ჭადრაკი

# ახალი პრეტენდენტი

***მას შემდეგ, რაც ყოფილმა რიგელმა, მიხეილ ტალის მოწაფემ, ახლა კი ესპანეთის მოქალაქემ ალექსეი შიროვმა ლინარესში დიდი წარმატება მოიპოვა (მეორე ადგილი დაიკავა ანანდის შემდეგ), იგი მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ უახლოეს პრეტენდენტად მიიჩნიეს.***

*გთავაზობთ ნაწყვეტებს შიროვის ინტერვიუდან, რომელიც მან გერმანელ ჟურნალისტ ჰარტმუტ მეცს მისცა.*

● ***თქვენ რიგაში მიხეილ ტალის მემკვიდრედ გთვლიდნენ.***

*— გამიჭირდება ასეთი დიდი მოჭადრაკის მემკვიდრეობა.*

● ***ტალის მსგავსად ძალზე აქტიურად, შემტევი სტილით თამაშობთ.***

*— მხოლოდ ვთამაშობ და ნაკლებად ვფიქრობ ჩემს სტილზე. ისე კი, გეთანხმებით ჩემი თამაშის შეფასებაში.*

● ***როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, სწრაფად დაწინაურდით მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკეების რიგებში, მაგრამ კვლავინდებურად გიჭირთ გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის წინააღმდეგ თამაში.***

*— ასე იყო ადრე, მაგრამ ზოგჯერ მეც ვთამაშობდი კარგად მათ წინააღმდეგ.*

● ***კასპაროვი სისტემატურად ახალ-ახალ ვარიანტებს იყენებს.***

*— ჭადრაკი გარისთვის მთელი ცხოვრებაა. მე კი არასაკმარისად სერიოზული ვარ იმისთვის, რომ იგივე გავაკეთო.*

● ***არ გინდათ, რომ მსოფლიოში №1 მოჭადრაკე გახდეთ?***

*— რისთვის?*

● ***როგორ თუ რისთვის! მეტი სახელი გექნებათ და მეტი ფულიც.***

*— ღირს ამაზე დაფიქრება.*

● ***ძალიან ღირსეული საქმე კია მსოფლიო ჩემპიონობა.***

*— ძალიან ღირსეულია. მე მისი მიღწევა შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან კასპაროვი ყველაზე უკეთესად თამაშობს.*

● ***მაგრამ კასპაროვი ხომ ასაკში შედის.***

*— 20 წლის შემდეგ შეიძლება ვითარება შეიცვალოს. ახალგაზრდები დაწინაურდებიან, თუმცა, ეს ნაკლებად მეხება. ვერ გეტყვით, მსოფლიო ჩემპიონობა არ მინდოდეს, მაგრამ თუ ვითარებას უფრო რეალისტურად შევაფასებთ...*

● ***რას იტყვით კარპოვზე?***

*— იგი მეტად შეუპოვარი მებრძოლია და ჭადრაკში მეტად დიდი ცოდნა აქვს. თუმცა ამ მომენტში მის თამაშში სისუსტეებიც შეიმჩნევა. კარპოვი რომ მსოფლიოში უძლიერესი იყოს, კიდევ შევეცდებოდი მის გადასწრებას, მაგრამ იგი ხომ მეორეა.*


საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ხელშეწყობით

## საქართველოს ჩემპიონატი კარატე-დო-ში

空手道

იუნიორებში და კადეტებში

4 აპრილი 1998 წელი



ჩემპიონატის მთავარი მსაჯი საერთაშორისო კატეგორიის რეფერი მე-5 დანის მფლობელი W.K.F.

კახა ბასილია

ჩემპიონატი ჩატარდება ქ. თბილისში ჟურნ. ბაღი (კალათბურთის სასახლეში) დასაწყისი 11 საათზე საზეიმო გახსნა 16 საათზე


# გურამ ჭუმბურიძის გახსენება



**ორმოცი დღე სრულდება იმ ავადმოსაგონარი დღიდან, შენი თავი რომ წაგვართვა მოულოდნელად.**

**57 წელი შეგისრულდა 18 თებერვალს! ვინ იფიქრებდა, რომ ის დღე შენი უკანასკნელი დაბადების დღე იქნებოდა.**

**წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე სიცარიელე, სიმარტოვე, არა მარტო შენს ოჯახს, ყველას — სამეგობროს, სანათესაოს, საყვარელ ფეხბურთელ ბავშვებს, ვისთვისაც ძალიან ბევრი დაგრჩა სასწავლებელი. დასანანია, რომ თან წაიღე ის უდიდესი ნიჭი ბავშვების უზადო სიყვარულისა. აღარ არის ის მხიარულება და სიცილ-კისკისი შენს გამოჩენას რომ ახლდა ყველგან თან. დაგვტოვე ფრთამოტეხილი შვილები და შენზე უზომოდ მგლოვიარე მეუღლე.**

**მამა! შენ არ მომკვდარხარ. კაცმა, რომელმაც ამხელა სითბო და სიყვარული დატოვა, ამდენი ადამიანის ცრემლი წაიღო, მას სამარადისო სიცოცხლე უწერია.**

**შენი ოჯახი**

# ახალი ამბები

**ჩოგბურთი ●** მალე დაიწყება დევისის თასის გათამაშება. შვედებს — შარშანდელ გამარჯვებულებს ენკვისტი ჰყავთ ტრავმირებული. ავსტრალიელები ფილიპუსსა და რაფტერს ათამაშებენ. რაფტერი ტრავმას იშუშებს და ალბათ მზად იქნება ტურნირისათვის. ესპანელები გამოიყვანენ კარლოს მოას და კორეჩიას. ბრაზილიელებს თავიანთი კერპის, შარშანდელი საფრანგეთის ღია თასის გამარჯვებულის კურტენის დიდი იმედი აქვთ, ხოლო ჩილელებს — მარსელო რიოსისა, რომელმაც სულ ახლახან მოიგო რა პრესტიჟული ტურნირი, ზღაპრული მიღება გაუმართეს სანტიაგოში, მას ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდო ფრეი შეხვდა.

**კალათბურთი ●** დადის ხმები, რომ მაიკლ ჯორდანი არ ითამაშებს „ფლეი ოფებს". ბოლო ტურში მისი „ჩიკაგო ბულზი" შეხვდა თავიანთ ტრადიციულ მეტოქეს 1989-90-იანი წლების ნბა-ს ჩემპიონს „დეტროიტ პისტონზს" და მოუგო ოვერტაიმში 106:101. ძირითადი დროის ბოლო წამზე დეტროიტელი გრანტ ჰილის ტყორცნას ხელი შეუშალა მაიკლ ჯორდანმა და გადაარჩინა თავისი „ბულზი" წაგებას. საინტერესოა, რომ ბოლო 8 წელია „დეტროიტს" ჩიკაგოსთვის აღარ მოუგია. „ინდიანა ფეიზერსმა" სძლია „ლოს-ანჯელეს კლიპერს" 128:106, ხოლო შაკილ ო'ნილის „ლეიკერსმა" — „ტორონტო რაპტორს" 114-105.

**ცხენოსნობა ●** 4 აპრილს ინგლისში გაიმართება ლივერპულის ცნობილი სტიპლჩეისი, რომელშიაც 40 ცხენმხედარი იასპარეზებს. მთავარი პრიზი 4,5 მილზე შეჯიბრებაში გათამაშდება.

**მოამზადა ბია ახალაძემ**


## მანანა ცაბაძე გელით!

საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის მხატვრული ტანვარჯიშისა და ბატუტზე ხტომის სასპორტო სკოლა აცხადებს 1990-1993 წლებში დაბადებულ გოგონათა მიღებას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მანანა ცაბაძის ჯგუფებში.

მისამართი: ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია. თბილისი, სანაპიროს, 8.


# მონტე-კარლოს საერთაშორისო...

***მონტე-კარლოში*** *(მონაკო) დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი 11 დიდოსტატის მონაწილეობით. ეს თავისებური ასპარეზობა ყოველწლიურად ეწყობა. თავისებური იმიტომ, რომ მონაწილეები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს: ერთხელ თამაშობენ სწრაფი ჭადრაკის წესებით, როცა თითოეულს მთელი პარტიისათვის სულ 25 წუთი ეძლევა, მეორედ კი დაფაზე დაუხედავად ეპაექრებიან ერთმანეთს, რაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.*

*ამჯერად ყველაზე უკეთესი შედეგები ჰქონდათ ალექსეი შიროვს (ესპანეთი), რომელმაც სულ ახლახან ლინარესშიც გამოიჩინა თავი, და ვლადიმირ კრამნიკს (რუსეთი). მათ 22 შესაძლებლიდან 15-15 ქულა მოაგროვეს. დამატებითი მონაცემებით ტურნირში გამარჯვებულად შიროვი გამოცხადდა. ძალზე სუსტად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვმა, რომელმაც სულ 4,5 ქულა მოაგროვა.*



15



4



6



12



**თარაზულად:** 5. „იუვენტუსის" ლეგიონერი, 7. ცნობილი დანიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 8. „მილანის" ფეხბურთელი, 11. ანჯელო დი..., 14. სწრაფი, ცქვიტი, 15. „ლივერპულის" ფეხბურთელი ***(ფოტო),*** 16. ჩეხი ჩოგბურთელი ქალი, 17. „ლაციოს" ფეხბურთელი, 20. „დორტმუნდისა" და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, 22. წარსულში სახელგანთქმული ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი, 23. წარსულში ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი, 26. კენიელი მორბენალი, 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 27. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 28. წარსულში მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელი, თავდამსხმელი.

**შვეულად:** 1. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 2. ცურვის სტილი, 3. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 4. 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ურუგვაელი ფეხბურთელი ***(ფოტო),*** 6. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი იტალიელი ფეხბურთელი ***(ფოტო),*** 9. ცნობილი პარაგვაელი ფეხბურთელი, მეკარე, 10. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი, 12. ახლო წარსულში ცნობილი ამერიკელი მძლეოსანი ქალი ***(ფოტო),*** 13. 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 18. ახლო წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 19. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი იტალიელი ფეხბურთელი, 21. ცნობილი რუსი ჰოკეისტი, „დეტროიტის" ლეგიონერი, 24. ცნობილი ჩილელი ჩოგბურთელი, 25. სპორტის სახეობა.

**შეადგინა დიმა ჯიჯელავამ, (თბილისი)**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. მარშალი, 6. სუარესი, 8. კენედი, 9. ბექჰემი, 12. ფრე, 14 ფუტრე, 15. ჰაანი, 16. პუშკაში, 17. გასკოინი, 19. ასპრილია, 21. კონტი, 25. ნევილი, 26. კადეტე, 31. იმელი, 33. ბენარბია, 35. ლეონარდო, 36. რანიერი, 37. ფინკი, 38. მატეო, 40. რაი, 42. ორიალი, 43. ტორესი, 44. გილესპი, 45. ნემსაძე.

**შვეულად:** 1. გრენი, 2. ლაუდრუპი, 3. „ვალენსია", 4. მესეი, 7. დიუგარი, 8. კარეკა, 10. იტალია, 11. მანჩინი, 13. რიკენი, 18. ნედველი, 20. სიმეონე, 21. კალცი, 22. ირანი, 23. ენე, 24. ვეა, 27. ადემირი, 28. „მერიდა", 29. კადლეცი, 30. ფალკაო, 32. ლალასი, 34. არდილესი, 35. ლიდჰოლმი, 39. ვიალი, 41. დესაი.

## საჭადრაკო ამოცანა



**შამათი 4 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**კf5 – ცუგცვანგი,**

**1. ...მფe3 2. ლe4X,**

**1. ...მფe5 2. ლh2X,**

**1. ...მფg3 2. მh5X,**

**1. ...მფg5 2. ლh6X.**


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე